ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

პარასკევი, 17 მარტი, 2023 №54 (9090) ფასი: 80 თეთრი

პარლამენტთან ევროკავშირის დროშის დაწვის ფაქტზე

გვ.4

რამდენიმე პირი დააჯარიმეს

„ამ შემოდგომაზე ვადამდელი არჩევნები უნდა ჩატარდეს!“

გიორგი მარგველაშვილი: „შეიძლება ივანიშვილმა რაღაც ფანდი ჩაატაროს, მაგრამ არ გაჭრის!“

გვ.2

„არჩევნებზე ოპოზიცია ერთიანი სიით არ უნდა გავიდეს“

„ამ ხელისუფლების პირობებში სტატუსს არ მოგვანიჭებენ, დასავლეთმა ძალიან ნათელი ვერდიქტი დადო“

გვ.4

„დატოვოს დავით კაჭარავამ რაგბის კავშირის გამგეობის თავმჯდომარის პოსტი“

გვ.5

„დედამისი გადამეფარა“ — „ტვ პირველის“ ჟურნალისტი თავდასხმის დეტალებს იხსენებს

„რუსეთთან ბრძოლა გავრილოვის ჩამოსვლიდან დავიწყეთ“



მურმან დუმბაძე: „სტუდენტებთან დაპირისპირებაში არცერთი ხელისუფლება არ შედის“

გვ.3

ოთო აბესაძე: „მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი მოსალოდნელი არ არის“

რისთვის ჩადის ჩინეთის ლიდერი აგრესორ რუსეთში?

გვ.4

მესტიაში სასტუმრო დაიწვა

გვ.5

5 სააკაშვილის ვიდეოჩანაწერების გასაჯაროების გამო პენიტენციარული სამსახური 500 ლარით დააჯარიმეს

3 დუისში 23 წლის პანკისელ ქალს ქვეყანაში არ უშვებენ

5 2022 წლის 10 თვეში ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტებზე გამოძიება დაიწყო

6 საინფორმაციო ომი უკრაინის წინააღმდეგ

1993230720223

„ამ შემოდგომაზე ვადამდელი არჩევნები უნდა ჩატარდეს!“

გიორგი მარგველაშვილი: „შეიძლება ივანიშვილმა რაღაც ფანდი ჩაატაროს, მაგრამ არ გაჭრის!“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს საქართველოს მეოთხე პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი პასუხობს.

„არჩევნებზე ოპოზიცია ერთიანი სიით არ უნდა გავიდეს“

– ბატონო გიორგი, როგორ აფასებთ ქვეყანაში განვითარებულ ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს? საკმაოდ მღელვარე დღეები გამოვიარეთ. მოსახლეობის დიდმა ნაწილმა დააფიქსირა საკუთარი პოზიცია, რომ მათი ადგილი ევროპაშია. ამბობენ, რომ ბუნდოვანია ხელისუფლების პოზიცია. ისე ლაპარაკობენ, რომ ევროკავშირში უნდათ, მაგრამ საქმით საპირისპიროს ამტკიცებენ. რას ფიქრობთ ამ ყველაფერთან დაკავშირებით?

– მე ბუნდოვანებას ნაკლებად ვხედავ. პირიქით, მრჩება შთაბეჭდილება, რომ ის, რაც გვესმოდა წინა კვირას პოლიტიკის ექსპერტებს, პროფესიონალებს, გახდა გასაგები მთელი ქართველი საზოგადოებისთვის, რომ რას ამბობენ, ამას მნიშვნელობა არა აქვს. ეს ხელისუფლება ერთმნიშვნელოვნად არის პრორუსული შეკვეთების შემსრულებელი ხელისუფლება. ბუნდოვანებაში ვერ დაგეთანხმებით, პირიქით, ბუნდოვანება თავიდან ბოლომდე მოხსნილია. ეს გახდა გასაგები არა მარტო საქართველოს მოქალაქეებისთვის, არამედ ჩვენი პარტნიორებისთვისაც, რომლებიც პირდაპირ საუბარზე გადავიდნენ, რომ მათ დაინახეს ყველაფერი ბოლომდე. ასე რომ, ჩემი აზრით, წინა კვირის მთავარი აქცენტი მაინც ეს არის.

– ბატონო გიორგი, ხელისუფლება შანტაჟის ენით ესაუბრება ოპონენტებს და აქცია-ზე მყოფ ახალგაზრდებს. ვრცელდება ინფორმაციები, რომ ურეკავენ და საგამოძიებო უწყებებში იბარებენ. ამ შემთხვევაში ხელისუფლების მხრიდან შიშის გამოვლინებაა თუ, პირიქით, საზოგადოების დაშინებას ცდილობენ?

– სტილი არის უნივერსალური – ერთი და იგივე პროპაგანდა, დაშინება, შანტაჟი. ეს არის ის სამი რამ, რითაც მოქმედებენ პუტინი და მისი ხელისუფლება. ზუსტად ერთი ერთში! არაფერს ახალს არ იგონებენ, არავითარი ნოვატორობაც კი არა აქვთ თავიანთ ბოროტებაში. როგორც პუტინი იქცევა, ზუსტად ისე იქცევიან. საზოგადოების შეშინება რაღაც მითიური შიშებით, შანტაჟი და პროპაგანდა. მე არა მგონია, ამ ეტაპზე მათ ვინმეს დაშინება შეძლონ. რამდენჯერ მინახავს ასეთი ხელისუფლებები, დაშინებაზე რომ არიან გადასული. მეტი არაფერი არ მიკეთებია, დაწყებული ნაციონალური მოძრაობიდან და „ოცნებით“ გაგრძელებული, ერთი და იგივე სტილია. როდესაც აღარ გაქვს არგუმენტები, ცდილობ, ვიღაცა დააშინო, მაგრამ უკვე გადატეხილია ეს მომენტი და აღარ იმუშავებს.

– ხელისუფლების უკანდახევა უფრო ტაქტიკური ნაბიჯი იყო და კიდევ ეცდებიან, იგივე გააკეთონ, როგორც კი სიტუაცია ჩაცხრებაო.

– რა თქმა უნდა, ასე მოიქცევიან, თუმცა ეს მათი გადასაწყვეტიც ხომ არ არის, რეალურად ისინი ხომ დირექტივებს იღებენ მოსკოვიდან და არა ის, რომ თვითონ დაგეგმავენ, ეს უნდა გააკეთონ თუ ის. ეს არის მოსკოვიდან მოსული დირექტივები, მოსკოვი რა დირექტივასაც დაგეგმავს, ზუსტად იმით იმოქმედებენ. მათი სახე და არსი ბოლომდე გამოჩნდა. პირველი – ისინი არიან პრორუსულები და მეორე, მათი ნდობა არ შეიძლება. ეს დანახულ იქნა ძალიან თვალნათლივ ძალიან ბევრი ადამიანის მიერ საქართველოში და საქართველოს ფარგლებს გარეთ. საზოგადოება უყურებს, რომ ამ რეჟიმმა რამე არ დაუშავოს ქვეყანას თავისი მზაკვრული გეგმებით და გამცემლური პოლიტიკით. ეჭვის თვალით და გაფაციცებით აკვირდება საზოგადოება ამ ყველაფერს. არის კიდევ მეორე საკითხი, რაც შეიძლება მალე შეიცვალოს ეს ხელისუფლება და მოხდეს ხელისუფლების მშვიდობიანი გადაბარება არჩევნების გზით!

– არჩევნები ახსენეთ და, ბატონო გიორგი, ბევრი ამბობს, რომ დღეს ივანიშვილს ვადამდელი არჩევნები აწყობს. წავა ამაზე, როგორ ფიქრობთ?

– ივანიშვილი არ არის სულელი კაცი. ის ერთადერთი პოლიტიკოსია მაგ ჯგუფში, რომელსაც სტრატეგიულად აზროვნების უნარი გააჩნია. ბუნებრივია, ის რაღაცას გათვლის. დღეს თუ ოპოზიციამ ხელები ჩამოუშვა, მაშინ არც დასჭირდება ვადამდელის დანიშვნა და, თუ დანიშნავს, მოიგებს კიდეც. მე დიდი იმედი მაქვს, რომ ოპოზიცია მოახერხებს კოორდინირებასა და ქართველი ამომრჩევლისთვის ალტერნატივების შეთავაზებას. აქ მრავლობითს ხაზგასმით ვგულისხმობ, იმიტომ რომ, არა მგონია, ამ ვითარებაში უნდა მოხდეს ერთიანი პოლიტიკური სიის ფორმირება. მე ვფიქრობ, რომ უნდა იყოს ერთიანი მოძრაობა ვადამდელისთვის, მაგრამ არჩევნებზე უნდა იყოს ალტერნატივები.

– ანუ არ უნდა გაერთიანდეს ოპოზიცია, ამას გულისხმობთ, უბრალოდ, მიზანი უნდა ჰქონდეთ ერთი?

– ყველა პროდასავლური ოპოზიციური ძალისთვის მიზანი უნდა იყო შემდეგი: პირველი, არ დაუშვან, რომ ამ ხელისუფლებამ რამე ავნოს ქვეყანას თავისი გამცემლური პოლიტიკით, ანუ უნდა მოხდეს პრევენცია იმ კრიზისებისა, რომლებიც მათგან აბსოლუტურად მოსალოდნელია. მეორე მიზანია, ერთობლივად დეოლეგიტიმირებული ხელისუფლების რიგგარეშე არჩევნებისკენ წაყვანა. ამ ნაწილებში ოპოზიცია უნდა კოორდინირებდეს ერთმნიშვნელოვნად, მაგრამ არჩევნებზე ოპოზიცია არ უნდა გავიდეს ერთიანი სიით, მაგალითად, ისე, როგორც ჩვენ გავედით, „ქართულ ოცნებას“ ვგულისხმობ. ფაქტობრივად, ყველანი ერთიანად ვიყავით. ასე არ უნდა მოხდეს. უნდა მოხდეს გაერთიანება მიზნისკენ, რომელიც არის რიგგარეშე, ხოლო რიგგარეშეს დანიშვნის შემდეგ სხვადასხვა ოპოზიციურმა ძალამ უნდა აჩვენოს და შესაძლებლობა მისცეს ამომრჩეველს პროდასავლური არჩევანის. ასევე აჩვენონ, რომ სტაბილურად და მშვიდობიანად მოხდება ხელისუფლების გადაბარება.

– ბატონო გიორგი, ანუ თქვენც ვადამდელ არჩევნებს ემხრობით. 2024-ში ხომ ახალი სისტემით უნდა ჩატარდეს არჩევნები და ერთი წლისთვის ღირს ვადამდელის დანიშვნა?

– ამ შემოდგომაზე უნდა ჩატარდეს ვადამდელი არჩევნები. როდესაც პოლიტიკური სიტუაცია უკვე გადატეხილია, ძველი სისტემით ჩატარდება თუ ახლით, ამას უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს. ამის ყველანაირი წინაპირო-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ნაციონალური მოძრაობა: „ვანო მერაბიშვილი არ არის პარტიის მენეჯმენტის ნაწილი, არ ახმოვანებს პარტიის პოზიციებს“

– ვანო მერაბიშვილი არის ენმ-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი და გულშემატკივარი, მაგრამ ის არ არის პარტიის მენეჯმენტის ნაწილი, არ უკავია არანაირი პარტიული თანამდებობა, არ ახმოვანებს პარტიის პოზიციებს და არ არის ჩართული ყოველდღიურ პარტიულ საქმიანობაში, – ასე ეხმაურება პარტია ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ყოფილი პრემიერ-მინისტრის ვანო მერაბიშვილის მიერ უკრაინული მედიისთვის მიცემულ ინტერვიუს.

როგორც პარტიის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, კონკრეტული ინდივიდების მიერ გამოთქმული პირადი მოსაზრებების ირგვლივ, გადაჭარბებულ, ხელოვნურ და სპეკულაციურ მსჯელობებს, პარტია ენმ აღიქვამს, როგორც მთავარი ოპოზიციური ძალის დისკრედიტაციის და მთავარი თემიდან ყურადღების გადატანის მცდელობად.

– ერთიანი ნაციონალური მოძრაობა არის დიდი და მრავალფეროვანი პოლიტიკური ორგანიზმი, რომელიც აერთიანებს ნახევარ მილიონზე მეტ ჩვენს თანამოქალაქეს. ვანო მერაბიშვილი არის ენმ-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი და გულშემატკივარი, მაგრამ ის არ არის პარტიის მენეჯმენტის ნაწილი, არ უკავია არანაირი პარტიული თანამდებობა, არ ახმოვანებს პარტიის პოზიციებს და არ არის ჩართული ყოველდღიურ პარტიულ საქმიანობაში. კონკრეტული ინდივიდების მიერ გამოთქმული პირადი მოსაზრებების ირგვლივ, გადაჭარბებულ, ხელოვნურ და სპეკულაციურ მსჯელობებს, პარტია ენმ აღიქვამს, როგორც მთავარი ოპოზიციური ძალის დისკრედიტაციის და მთავარი თემიდან ყურადღების გადატანის მცდელობად. ასევე აღსანიშნავია, რომ ყველა ადამიანს აქვს საკუთარი აზრისა და სიტყვის გამოხატვის თავისუფლება. ვანო მერაბიშვილი თავადვე აღნიშნავს, რომ მის მიერ გამოთქმული მოსაზრებები, მისი სუბიექტური აზრია და ის აყენებს საკუთარ პირად პოზიციებს. კიდევ ერთხელ, პარტია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პოზიციებს ახმოვანებს მხოლოდ პარტიის მენეჯმენტი, – აღნიშნულია პარტიის განცხადებაში.

ცნობისთვის, საქართველოს შინაგან საქმეთა ყოფილმა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა უკრაინულ მედიასთან განაცხადა, რომ „საქართველოში რეალურად ერთი სერიოზული ოპოზიციური პარტიაა, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, სააკაშვილის პარტია. მისი რეიტინგი ორჯერ მეტია, ვიდრე ყველა სხვა დანარჩენი ოპოზიციური პარტიის რეიტინგი ერთად“.

მან ნაციონალურ მოძრაობაში ჩატარებულ თავმჯდომარის არჩევნებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ არჩევნების შემდეგ ყველაფერი შეიცვალა და პარტია მნიშვნელოვნად გააქტიურდა.

– მომდევნო თვეებში თქვენ უფრო რეალურ პროცესს ნახავთ, მათ შორის ქუჩაშიც, – აცხადებს ვანო მერაბიშვილი.

ალეკო ელისაშვილი: „შალვა პაპუაშვილს მინდა ვურჩიო, ნუ ებრძვით საკუთარ წარსულს“

– შალვა პაპუაშვილს მინდა ვურჩიო, ნუ ებრძვით საკუთარ წარსულს – სოზარმა ხომ მოიჭრა თავი და პაპუაშვილიც მუშაობდა გერმანულ ფონდში, რომელიც გასცემდა არასამთავრობო ორგანიზაციებზე გრანტებს. ახლა რომ დგახარ და არასამთავრობო ორგანიზაციებს ფარისევლებს ეძახი, ძალიან უხერხულია, – ამის შესახებ მოქალაქეების დეპუტატმა ალეკო ელისაშვილმა ჟურნალისტებთან განაცხადა, რითაც გამოეხმაურა შალვა პაპუაშვილის განცხადებას, რომ „არასამთავრობო სექტორი გადატვირთვას საჭიროებს“ და „კრიზისი, რაც ფარისევლობის სახით არის ამ სექტორში, უნდა გადალახონ, ხოლო 3 დეპუტატზე ზეწოლა, რაზეც სახალხო დამცველმა ისაუბრა, სავარაუდოდ, არასამთავრობო სექტორის მხრიდან მოდიოდა“.

ელისაშვილი მიიჩნევს, რომ არასამთავრობო სექტორიდან ხშირად დაუმსახურებელი კრიტიკა ყოფილა მისი და ლევან იოსელიანის მისამართით, თუმცა მათი ლანძღვა სწორი არ არის.

– შალვა პაპუაშვილს მინდა ვურჩიო, ნუ ებრძვით საკუთარ წარსულს. სოზარმა ხომ მოიჭრა თავი, მთელი ცხოვრება რასაც აკეთებდა, იმის წინააღმდეგ დაიწყო ბრძოლა ორი ხმლით ხელში და კი შემოემტვრა ის ხმლები მერე. შალვა პაპუაშვილიც მუშაობდა გერმანულ ფონდში, რომელიც გასცემდა არასამთავრობო ორგანიზაციებზე გრანტებს. ახლა რომ დგახარ და არასამთავრობო ორგანიზაციებს ფარისევლებს ეძახი, ძალიან უხერხულია. ჩვენი წარსულიდან ხომ მოვდივართ? მაშინ უნდა ვთქვათ, რომ რაც აქამდე მიკეთებია, სამარცხვინოა, ფარისეველი ვიყავი და აღარ გავაკეთებ. მე ჩემი წარსულის არ მრცხვენია, მეც ვიყავი არასამთავრობო ორგანიზაციაში, „თბილისის ჰამქარში“, გრანტიც ამიღია და ძალიან სწორად დამიხარჯავს და ჭინთებში რომ არიან ახლა გამჭვირვალობაზე, წავიდნენ და ნახონ, რას ხმარდებოდა და როგორ. ბევრ რამე არ მომწონს არასამთავრობო ორგანიზაციებში: ჩვენი პარტიის მიმართ დამოკიდებულება, ლევანისადმი, როგორც სახალხო დამცველისადმი, მაგრამ ასეთია დემოკრატია, საჯაროობა, რომ ლანძღვის ატანაც გიწევს, დაუმსახურებელი ლანძღვისაც, მაგრამ არც მე ვარ ბამბის ქულაში გაზრდილი ბარტყი და არც ლევანი, გაგვლანძღეს კი, დაუმსახურებლადაც, მაგრამ არჩევის დღიდან და იმ ინციდენტიდან მოყოლებული აჩვენებს, რომ პრინციპულია, ზუსტად იცის, რაც უნდა აკეთოს, ყოველდღე ადასტურებს, რომ კარგი სახალხო დამცველია. ბევრთან გამიფუჭდა ურთიერთობა, მაგრამ ამიტომ ახლა მე რომ ძალაუფლებაში მოვალ, უნდა დავიჭირო ისინი და კანონი მივიღო, რომ გავაჩუმო? ეს არის აბსურდი და ამ აბსურდს მოეშვას შალვა პაპუაშვილიც, კობახიძეც და „ქართული ოცნებაც“, – განაცხადა ელისაშვილმა.

დიდი ბრიტანეთი საქართველოსა და მოლდოვას ფინანსურ დახმარებას გამოუყოფს

დიდი ბრიტანეთი საქართველოსა და მოლდოვას ფინანსურად დაეხმარება რუსეთის მავნე აქტივობებისადმი მდგრადობის გასაძლიერებლად.

ინფორმაციას ამის შესახებ დიდი ბრიტანეთის მთავრობის პრესსამსახური საგარეო საქმეთა მინისტრის ჯეიმს კლევერლის 16-17 მარტს მოლდოვასა და საქართველოში დაგეგმილ ვიზიტებთან დაკავშირებით ავრცელებს.

– დიდი ბრიტანეთი მოლდოვისა და საქართველოსთვის თავის ფინანსურ მხარდაჭერას აძლიერებს, ვინაიდან ისინი კვლავ განიცდიან პუტინის უკრაინაში შეჭრით გამოწვეულ დესტაბილიზაციას, – წერია განცხადებაში.

დიდი ბრიტანეთის მთავრობის პრესსამსახურის თანახმად, მოლდოვასა და საქართველოში ვიზიტების დროს კლევერლი მოლდოვაში ეკონომიკური და მმართველობითი რეფორმების მხარდასაჭერად დამატებით 10 მილიონი გირვანქა სტერლინგის ოდენობის დახმარების შესახებ გამოაცხადებს, საქართველოსთვის კი, მომავალი წლის არჩევნების უსაფრთხოების გასაძლიერებლად 500 ათასი გირვანქა სტერლინგის ოდენობის დახმარებას გამოყოფს.

– საქართველოში კლევერლი ნახავს, თუ როგორ ეხმარება გაერთიანებული სამეფოს დახმარება, მათ შორის თავდაცვისა და კიბერუსაფრთხოების საკითხებში თანამშრომლობა რუსეთის დივერსიული ჩარევებისთვის წინააღმდეგობის გაწევაში.

საქართველოში დემოკრატიის გასაძლიერებლად დიდი ბრიტანეთი ასევე 500.000 გირვანქა სტერლინგს გამოყოფს, რომელიც მიზნად ისახავს 2024 წელს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის გარემოს შექმნასა და მათ გარე ჩარევისგან დაცვას, – წერია განცხადებაში.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 იელისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეგერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„რუსეთთან ბრძოლა გავრილოვის ჩამოსვლიდან დავიწყეთ“

ნათია ხურცილავა

„ნაციონალური მოძრაობა — ძალა ერთობაშიას“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.



მურმან დუმბაძე: „სტუდენტებთან დაპირისპირებაში არცერთი ხელისუფლება არ შედის“

– ბატონო მურმან, ვანო მერაბიშვილის პოლიტიკურ განცხადებებს როგორ აფასებთ? ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ ხელისუფლების წისქვილზე ასხამს წყალს. ნაციონალურ მოძრაობას განცხადების გაკეთებაც კი მოუხდა, რომ მერაბიშვილი პარტიის პოზიციებს არ ახმოვანებს.

– ჩემი პოზიცია ზოგადად კონკურენციის მიმართ ცნობილია. 30 წლის განმავლობაში ვთვლიდი, რომ ჯანსაღი პოლიტიკა კონკურენციის შედეგია. არც დღეს არ შემიცვლია ეს პოზიცია. თუ ადამიანებს უნდათ, რომ პოლიტიკურად აქტიურები იყვნენ, უარის თქმის უფლება არავის არ აქვს, გარდა ერთადერთისა – ეს არის ამომრჩეველი. ამომრჩეველს არჩევნებზე შეუძლია, კი არ შემოხაზოს, არამედ გადახაზოს ნებისმიერი პოლიტიკოსი ან ნებისმიერი პარტია. ხელოვნური აკრძალვების მომხრე არ ვარ. არც არასდროს არ ვყოფილვარ.

სიმართლე გითხრათ, ერთადერთი, რაც არ მომწონდა 7-8-9 მარტის აქციების დროს, ეს იყო დათქმა, რომ პოლიტიკოსები არ მისულიყვნენ მიკროფონთან. რა თქმა უნდა, ეს საერთოდ არ აუფერულებს იმ შესანიშნავ დღეებს, იმ შესანიშნავ ახალგაზრდებს, რომლებმაც მოუტანეს ქვეყანას ეს გამარჯვება, მაგრამ მე ჩემი პოზიცია ღიად დავაფიქსირე იმასთან დაკავშირებით, რაც არ მომეწონა. მე საერთოდ ყველაფერში თავისუფლების მომხრე ვარ. ადამიანი ყველგან თავისუფალი უნდა იყოს.

– 7-8-9 მარტის აქციები ახსენეთ. ფიქრობთ, ხელისუფლებამ კრიზისი გადააგორა?

– არა, ეს შეუძლებელია. თუ ისინი გაიტანდნენ რუსულ კანონს, მაშინ ვიტყოდი, რომ დიახ, გაიმარჯვეს და თავისი გაიტანეს. მართალია, დროებით, მაგრამ ნამდვილად ასეთ შეფასებას გავაკეთებდი. დღეს რეალობა 90 გრადუსით არის შეცვლილი. ხელისუფლებამ უკან დაიხია. მათ დაინახეს ის ძალა, რომელიც ახალგაზრდებშია, სტუდენტებშია. სტუდენტებთან დაპირისპირებაში არცერთი ხელისუფლება არ შედის, ვისაც თავში ოდნავ მაინც აქვს ჭკუა. ამას ვერ ვიტყოდი „ქართულ ოცნებაზე“, მაგრამ ისინი მიხვდნენ, რომ შეიძლება საერთოდ დამთავრებულიყვნენ და პოლიტიკურად განადგურებულიყვნენ. ამ ხელისუფლებამ 100:0 წააგო ახალგაზრდებთან, ამ ქვეყნის მომავალთან, ხვალინდელ დღესთან. აშკარაა, რომ „ქართული ოცნება“ წარსულია, ეს ახალგაზრდები კი ამ ქვეყნის მომავალია. რუსთაველზე აქციაზე მივედი თუ არა, მივხვდი, რომ ეს ბრძოლა „ოცნებას“ წაგებული ჰქონდა და მას აუცილებლად ეს ახალგაზრდები მოიგებდნენ.

– ევროპარლამენტში დებატებისას გაისმა ასეთი ფრაზა – ქართველი ხალხი სტატუსს იმსახურებს, ხელისუფლება კი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს. შეიძლება, ევროკავშირმა სტატუსი მოგვცეს?

– სიმართლე გითხრათ, ამას არ გამოვრიცხავ, მაგრამ ამისთვის ჩვენ კიდევ დაგვჭირდება ქუჩაში გასვლა და ბრძოლა. კიდევ იქნება წინააღმდეგობები „ქართული ოცნების“ მხრიდან. მათ არ უნდათ სტატუსი. ეს არ არის მათი ამოცანა. მათი ამოცანა თავიდან ბოლომდე რუსული საქმის კეთებაა, მაგრამ, კარგად უნდა ესმოდეთ, რომ საქართველოში რუსეთი და რუსული საქმეები ყოველთვის დამარცხდება. ქართველი ხალხის საუკუნეების არჩევანი არის ცივილიზებულ ოჯახში დაბრუნება. ქართველები ევროპულ ცივილიზაციას ირჩევენ და ეს არჩევანი მტკიცედ არის გაკეთებული. ეს უნდა გაიგონ. თუ არ გაიგებენ, ესეც არ არის პრობლემა, აგერ არიან ახალგაზრდები და კარგად გააგებინებენ.

საქართველოში რუსეთი მარცხდება და ეს არის ფაქტი. ხელისუფლებას უკანდახევა მოუხდა. მართალია, ამისთვის დიდი ბრძოლა დაგვჭირდა და ეს ჯერ კიდევ 20 ივნისს დაიწყო, როდესაც გავრილოვი ჩაასკუპეს პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში, მაგრამ გავრილოვი გააძევა ქართველმა ხალხმა და ის ბრძოლაც მოიგო. რუსეთს ქართველებმა დიდი ხნის წინ უთხრეს – არა.

საქართველოში ქუჩას ყოველთვის გადამწყვეტი როლი აქვს პოლიტიკაში. ამჯერადაც ასეა, დარწმუნებული ვარ, მომავალშიც ასე იქნება, სანამ არ დასრულდება ერთპარტიული, ერთი კაცის მმართველობა საქართველოში.

თქვენს კითხვას რომ დავუბრუნდეთ, ევროკავშირი მოგვცემს თუ არა კანდიდატის სტატუსს, მე ვიყავი ერთადერთი პოლიტიკოსი, რომელიც ღიად ამბობდა, რომ საქართველოს არ ეკუთვნის ეს სტატუსი. დღეს ჩემი სიტყვები უკან მიმაქვს, რადგან ამ სტატუსს ქართველი ხალხი იმსახურებს. მართალია, ხელისუფლება არ იმსახურებს, მაგრამ ხალხმა ამისთვის იბრძოლა, ყველაფერი გააკეთა და მან უნდა მიიღოს სტატუსი ევროკავშირისგან. ქართველმა ხალხმა დაამტკიცა, რომ ხელისუფლებასთან უნისონში კი არ არის, არამედ მისი პოლიტიკის წინააღმდეგია და მზად არის, ბოლომდე იბრძოლოს ქვეყნის პროდასავლური კურსისთვის. ეს უნდა დაინახოს ევროკავშირმა, მთლიანად დასავლეთმა. ამ ბრძოლის შემდეგ ახალგაზრდები იმსახურებენ სტატუსს.

„მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი მოსალოდნელი არ არის“

ოთო აბესაძე: „ასეთი ტიპის უძრაობის ხანა ეკონომიკაში დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში არ მახსოვს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ეკონომიკის ექსპერტი ოთო აბესაძე პასუხობს.

– ოთო, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის ეკონომიკურ სიტუაციას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ? ვისმენთ შეფასებებს, რომ შესაძლოა ამერიკაში სერიოზული საბანკო სისტემის კრიზისი დაიწყოს. რამდენიმე მსხვილი ბანკი გაკოტრდა. რამდენად ექნება ეს პროცესს ჯაჭვური რეაქცია და რამდენად სახიფათო პროცესებს უნდა ველოდეთ?

– ეს ყველაფერი გამოწვეულია იმით, რომ რეალურად მსოფლიო ბაზარზე დაიწყო კრიპტოინდუსტრიამ ერთგვარი ტურბულენტობა, რყევა და არაერთ მნიშვნელოვან მსოფლიო საფინანსო ინსტიტუტს ჰქონდა საკუთარი აქტივები გადატანილი კრიპტოში და შეიძინება გარკვეული რყევები. თუმცა ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ მოსალოდნელია რაიმე ტიპის კრიზისი, ვინაიდან მათი მარაგები არის უზარმაზარი, რესურსები და, აქედან გამომდინარე, ასე მარტივად არ ხდება. ზოგადად ბანკის მუშაობის პრინციპი რა არის? მიღებული დებეტი რაც მიიღეს, ეს იქნება კრიპტო თუ სტანდარტული ვალუტა, ამ ფულის დაბანდება სხვადასხვა ეკონომიკურ აქტორში და ამ ფულის გაბევრება. რეალურად თანამედროვე მსოფლიო საბანკო ინდუსტრიას არ ემუქრება არანაირი პრობლემა. გაუძლო 2008 წლის მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისსაც, პანდემიას გაუძლო, ძალიან ბევრ პრობლემას გაუძლო და დღეს არანაირი წინაპირობა არ არსებობს მსოფლიოში იმის, რომ თანამედროვე საფინანსო ინდუსტრიას რაიმე ზიანი შეიძლება მიადგეს. ეს მოლოდინი არარეალურია.

– პანიკაა და ფული გააქვთ მასობრივად ბანკებიდანო.

– ერთადერთი პრობლემა აქ არის ის, რომ ადამიანები ცდილობენ და უკვე დაიწყეს საკუთარი დანაზოგების ინვესტირება კრიპტოვალუტაში და არა სტანდარტულ საბანკო ანაბრებზე. კი, ამ პრობლემის წინაშე საბანკო ინდუსტრია დგას, მაგრამ, კიდევ ერთხელ ვამბობ, ეს ის რეალობა არ არის, რომელიც შექმნის პრობლემას, ვინაიდან ორწლიანმა ლოქდაუნმა ვერ შეძლო ის, რომ ყოფილიყო ხარვეზი. ამიტომ არ ვთვლი, რომ რაიმე ტიპის პრობლემა იქნება.

– ანუ არც ევროპაზე გავრცელდება და შემდეგ არც ჩვენ შეგვეხება?

– ჩვენ ვლაპარაკობთ მსოფლიო ტრანსნაციონალური კორპორაციების რესურსებზე, რომლებიც ასე ერთ-ორ დღეში, თუნდაც ერთ-ორ თვეში და თუნდაც წელიწადში არ ამოიწურება. შესაბამისად, ეს შიშები გაზვიადებულია.

– ციფრულ ფულზე რას იტყვით?

– ციფრული ფული – ეს არის მომავალი თანამედროვე მსოფლიოსი. კრიპტოინდუსტრია ძალიან ვითარდება და, რაც უფრო მეტი ადამიანი გაერკვევა კრიპტოინდუსტრიაში და შეიტანს ამ სფეროში, კარგი იქნება. აი, მაგალითად, 2030 წელს უკვე ვპროგნოზირებთ თუნდაც საზოგადო მაღაზიაში კრიპტოინდუსტრიით რაღაცების შეძენას. ეს დრო არ არის შორს, ძალიან ახლოს არის. აი, აქ უკვე შეგვიძლია გვქონდეს ჩვენი როლი. ჩვენც შეგვიძლია, რომ კრიპტოინდუსტრიის ერთ-ერთი ფუძემდებლები გავხდეთ მსოფლიოში და ამის რესურსი გვაქვს. თუ ამას გამოვიყენებთ, ძალიან ყოჩაღები ვიქნებით.

– ოთო, ქვეყნის შიგნით არსებულ ეკონომიკურ სიტუაციაზე რას იტყვით? გვესმის შეფასებები, რომ მარტო ეკონომიკურად კი არა, ხელისუფლება პოლიტიკურად რუსეთზე გვკიდებსო. რას იტყვით, რამდენად სახიფათო სიტუაციაა?

– საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობას შევაფასებ ერთადერთი სიტყვით – ამას ჰქვია სტაგნაცია. ასეთი ტიპის უძრაობის ხანა ეკონომიკაში დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში არ მახსოვს. კი, იყო პრობლემები, მაგრამ რაღაც მოძრაობა სულ იყო. დღეს გვაქვს სრული ეკონომიკური სტაგნაცია. ასევე სამწუხარო ფაქტორი ის არის, რომ ჩვენი ხელისუფლება არ ცდილობს, წაახალისოს ბიზნესი. ეკონომიკის მინისტრი არ უნდა ჩამოდიოდეს თვითმფრინავის ბორტიდან, ქვეყნიდან ქვეყანაში უნდა დადიოდეს და აკეთებდეს საინვესტიციო შეთავაზებებს. ჩენ კი ვხედავთ, რომ პედალირება ხდება მარტო რუსეთზე. სულ რომ იდეალურად სამეგობრო სახელმწიფო იყოს რუსეთი და ოკუპანტიც რომ არ იყოს, მაინც არ შეიძლება, რომ შენი რესურსი იყოს ერთ ქვეყანაზე დამოკიდებული. არ არის ეს სწორი.

– პარლამენტის თავმჯდომარე აცხადებს, რომ ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში საქართველო 35-ე ადგილზეა და ევროკავშირის 11 წევრ ქვეყანას უსწრებს.

– რამ ათქმევინა ასეთი რამ? არაადეკვატურია ასეთი განცხადებები. მოდით, გავშალოთ, რას ნიშნავს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი. ეს ნიშნავს: ბიზნესის ხელმისაწვდომობა, ბიზნესის სიმარტივე და ბიზნესის კეთების ძალიან მარტივი მექანიზმები. რომელ ბიზნესის კეთებაზეა საქართველოში ლაპარაკი? თუ ხელისუფლებასთან დაახლოებული პირი არ ხარ, ტენდერს ვერ მოიგებ! თუ არ ხარ დაახლოებული პირი შესაბამისი უწყების წარმომადგენელთან, სამშენებლო ნებართვას ვერ აიღებ, რომ რაღაც ააშენო! რომელ დამოუკიდებლობაზე გველაპარაკებიან! საქართველო არის ერთ-ერთი ყველაზე პრობლემურად ბიზნესსამართავი ქვეყანა! თუ არ ხარ აპელირებული პოლიტიკურ წრეებთან, საშუალო და მსხვილ ბიზნესში შენი შეღწევა შეუძლებელია!

დუისში 23 წლის პანკისელ ქალს ქვეყანაში არ უშვებენ

პანკისის ხეობის სოფელ დუისში საპროტესტო აქცია იმართება – ხეობის მცხოვრები ქალი უკვე მესამე დღეა, ქუთაისის აეროპორტში ჰყავთ გაჩერებული და მცირეწლოვან შვილთან ერთად ქვეყანაში შემოსვლის საშუალებას არ აძლევენ. 23 წლის ლელა ქავთაროვა ამბობს, რომ ყველანაირი დოკუმენტაცია წესრიგში აქვს და მიზეზი, რატომ არ აძლევენ აეროპორტის დატოვების უფლებას, გაუგებარია. ქავთაროვა რუსეთისა და საფრანგეთის მოქალაქეა.

– ეს პირველი შემთხვევა არ არის. სექტემბერშიც იგივე შემემთხვა. საქართველოში ჩამოსვლის დროს აეროპორტში გამაჩერეს. სამი დღე ვიყავი აეროპორტში. ტელეფონი ჩამომართვეს და მითხრეს რომ აქედან დარეკვა არ შეიძლებოდა. მეშინია ახლაც არ ჩამომართვან. პატარა ოთახში ვიყავით მე და ჩემი შვილი. ახლაც არაფერს მეუბნებიან. მე და ჩემი შვილი 3 დღეა, აეროპორტში ვართ. პასპორტები ჩამომართვეს. ვერ გავიგე, საქართველოში აღარ უნდა ჩამოვიდე?! ვკითხე რატომ არ მიშვებდნენ, თუმცა არ მიპასუხეს, მითხრეს, რომ ფრენა 18 რიცხვშია და შემიძლია, უკან გავფრინდე. ფრანგული პასპორტი მაქვს. არაფერს მიხსნიან. ჩემი ქმარი აქ ცხოვრობს. რამდენიმე თვეს საქართველოში ვატარებდი. მსგავსი პრობლემები წლების წინ არ მქონია, უპრობლემოდ მიშვებდნენ, – ამბობს „მთავართან“ სატელეფონო საუბარში ქავთაროვა.

დუისში შეკრებილები ამბობენ, რომ ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც ხეობის მკვიდრებს ქვეყანაში შემოსვლის პრობლემებს უქმნიან.

აქციის მონაწილეები ითხოვენ, ქავთაროვა შემოუშვან ქვეყანაში. მათივე შეფასებით, ხელისუფლების მხრიდან ასეთი მიდგომა დისკრიმინაციულია და არაერთხელ სცადეს ამ პრობლემაზე ყურადღების გამახვილება, თუმცა უშედეგოდ.

დუისელები სახალხო დამცველსაც მიმართავენ და მისგან დროულ რეაგირებას ითხოვენ.

საქმიანობები, სადაც გასულ წელს სამუშაოს ხანგრძლივობა ყველაზე მეტად გაიზარდა

სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა საქართველოში სხვადასხვა საქმიანობის მიხედვით ნამუშევარი საათების ინდექსი გამოაქვეყნა. მონაცემები 2022 წლის მე-4 კვარტალს მოიცავს.

„საქსტატის“ ცნობით, გასული წლის მეოთხე კვარტალში ყველაზე მეტად ნამუშევარი საათები გაზრდილია სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების დარგში.

უფრო კონკრეტულად, სამუშაოს ხანგრძლივობის ზრდის მიხედვით, ტოპ-6 დარგის ჩამონათვალი ასეთია:

სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება – 103,1%-ით;

ინფორმაცია და კომუნიკაცია – 163.3%-ით;

საბითუმო ვაჭრობა, ავტომობილებითა და მოტოციკლებით ვაჭრობის გარდა – 40,5%-ით;

საცალო ვაჭრობა, ავტომობილებითა და მოტოციკლებით ვაჭრობის გარდა – 40%-ით;

MIG ხანგრძლივი მოხმარების საქონელი, რომელიც აერთიანებს ისეთ საქმიანობებს, როგორებიცაა: სამომხმარებლო ელექტრონიკის წარმოება, ოპტიკური ინსტრუმენტებისა და ფოტოგრაფიული მოწყობილობების წარმოება, საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების წარმოება, სატრანსპორტო მოწყობილობების წარმოება, ავეჯის წარმოება, ძვირფასეულობის, ბიჟუტერიისა და მათთან დაკავშირებული ნაკეთობების წარმოება, მუსიკალური ინსტრუმენტების წარმოება – 38.9%-ით;

საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილებისა და მოტოციკლების რემონტი – 38,3%-ით.

რისთვის ჩადის ჩინეთის ლიდერი აგრესორ რუსეთში?

მარიამ მჭედლიშვილი

მომავალ კვირაში ჩინეთის პირველი პირი სი ცზინპინი მოსკოვში ჩადის, სადაც პუტინს უნდა შეხვდეს. ახლახან პეკინიდან წამოსული წინადადებები უკრაინაში მიმდინარე ომის დამთავრებაზე საერთაშორისო არენაზე დაიწუნეს. რა მიზანი აქვს რუსეთში ჩასვლას? რა ამოძრავებს ჩინეთს? რისთვის დადის ჩინეთსა და ირანში პუტინის ამფსონი ბელარუსის ლიდერი ლუკაშენკო? რისთვის სჭირდება ირანს ბელარუსი? ეს თემები საქართველოშიც აღელვებთ. ამ საკითხებზე უკრაინულ მედიას ესაუბრა უკრაინელი ანალიტიკოსი ალექსანდრ კოჩეტკოვი.

„ჩინეთს რუსეთი არ აინტერესებს. მას საკუთარი ინტერესები აქვს“

– ბელარუსის დიქტატორი ლუკაშენკო ირანში იმყოფებოდა. ის პუტინის წარგზავნილის როლს ასრულებს თუ იქ წასვლის საკუთარი მიზეზები აქვს?

– იგი, რასაკვირველია, პუტინის ფოსტალიონია. ამასთან, ლუკაშენკოს საკუთარი მიზანიც აქვს. ის თავისთვის ეძებს პოზიციას, რომელშიც დაიცავს თავს იმ შემთხვევისათვის, თუ რუსეთს რაიმე მოუვა. იგი ეძებს „კრიშას“ ჩინეთის სახით.

მისი ფუნქციაა, ეცადოს შექმნას თანამეგობრობა – გარკვეული სამხედრო-ეკონომიკური კავშირი რუსეთს, ირანსა და ბელარუსს შორის, სადაც ის შუამავალი იქნება. ირანს დიდად არ უნდა შეიარაღების უშუალოდ რუსეთისთვის გამოგზავნა, თუმცა ამას მაინც აკეთებს. შეიარაღების მოწოდების გზებს კარგად ხედავს დაზვერვა. ბელარუსი ფორმალურად ომის მდგომარეობაში არ იმყოფება. ამიტომ, ირანს ურჩევნია, თვითმფრინავით ტვირთები მას გამოუგზავნოს, ბელარუსი კი ტვირთებს პირდაპირ რუსეთს გადასცემს.

ჩინეთსაც არ უნდა ამის გაკეთება. ამიტომ ლუკაშენკო მოდერატორ-შუამავლის ფუნქციას ასრულებს, თუმცა, პირველ რიგში, იგი საკუთარი ინტერესებით ხელმძღვანელობს და პირველი შემთხვევისთანავე გაყიდის პუტინს. ის ამას იზამს, თუ დარწმუნებული იქნება იმაში, რომ ჩინეთიდან „კრიშა“ აქვს.

– ლუკაშენკო ცდილობს, ღიად არ ჩაებას ომში და უფრო მეტად მომლაპარაკებელი იყოს?

– დიახ. ბელარუსი ომში რომ ჩაერთოს, ის ამ ფუნქციებს ვეღარ შეასრულებს, ჩინეთიც უკმაყოფილო იქნება, ვინაიდან ბელარუსში ბევრი ჩინური ინვესტიციაა. ჩინეთს დაგეგმილი ჰქონდა ბელარუსის გამოყენება გარკვეულ ფინანსურ ჰაბად. ამის გათვალისწინებით, პეკინს არ სურს ბელარუსის უშუალო ჩართვა უკრაინის ომში.

– ლუკაშენკო გამოდის შუამავლად რუსეთის ფედერაციას, ჩინეთსა და ირანს შორის თუ იგი შეიძლება გამოიყენონ ასევე შუამავლად დასავლეთთან?

– დასავლეთს არ სურს, მასთან რაიმე საერთო ჰქონდეს. ლუკაშენკო ასრულებს ჩინეთის დავალებას თანამეგობრობის ჩამოყალიბებაზე რუსეთს, ირანსა და ბელარუსს შორის. ის მომავალშიც ელის ჩინეთის ლიდერის მითითებებს და მზადაა, ისინი გააცნოს ირანსა და რუსეთს.

– როიტერის ინფორმაციით, ჩინეთის მეთაური სი ცზინპინი მომავალ კვირაში ჩასვლას აპირებს მოსკოვში. ნიშნავს თუ არა ეს მიერთებას ე.წ. ბოროტების ღერძთან?

– არანაირად არ ნიშნავს. ჩინეთი საოცრად პრაგმატული ქვეყანაა. მას სურს ევროპაში ომის სწრაფად დამთავრება. ჩინეთს არ აღელვებს, ვის ხარჯზე მოხდება ეს – უკრაინისა თუ რუსეთის. პეკინს სჭირდება ეკონომიკური კავშირების გაგრძელება. ევროპა მისთვის არის გადახდისუნარიანი ბაზარი. ის ევროპას ვერ დაკარგავს, ამიტომ ომის დამთავრება უნდა.

ჩინეთის მეთაურს სურს შეხვდეს პუტინს და მას დაელაპარაკოს ომის შეწყვეტის პირობებზე. ომის შეწყვეტის შესახებ თავისი ხედვა ჩინეთმა წარმოადგინა. თუ სი ცზინპინი საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტის კონკრეტულ მოქმედებებს შეათანხმებს, იგი გამოვა კონკრეტული გეგმით.

– ანუ ბიპოლარულ სამყაროზე საუბარი არ არის?

– ჩინეთი აშენებს ბიპოლარულ სამყაროს, მაგრამ, მისი შეხედულებით, ორი პოლუსი აშშ და ჩინეთია. რუსეთი უმცროსი პარტნიორიც კი არ არის. რუსეთი მხოლოდ ინსტრუმენტია და მეტი არაფერი.

– ჩინეთის მეთაური უკრაინის პრეზიდენტსაც დაელაპარაკება?

– რასაკვირველია. პუტინთან საუბრის შემდეგ ზელენსკისთანაც გამართავს დიალოგს.

– უკრაინაში ჩამოვა?

– ალბათ, ეს უფრო ვიდეოსაუბარი იქნება.

– რაზე იდგება ხსენებული ბიპოლარული სამყარო?

„ლუკაშენკო პირველი შემთხვევისთანავე გაყიდის პუტინს, თუ ჩინეთის მფარველობაში დარწმუნებული იქნება“

– ჩინეთი მზადაა, დააფინანსოს, დააკრედიტოს, წარმოადგინოს ტექნოლოგიები და გარკვეული შეიარაღება. ამ რბილი ძალით ის ატარებს თავის ინტერესებს აფრიკაში, აზიასა და ევროპაში. ჩინეთი წარმოადგენს სამშვიდობო გეგმას. თუ ის არ იქნება მოწონებული (სავარაუდოდ, ასეც მოხდება), პეკინი დაიწყებს აშშ-ის რბილ შანტაჟს, გამოთქვამს საყვედურებს სამშვიდობო გეგმის დაწუნების გამო, ასევე იმის თაობაზეც, რომ აშშ ტაივანს ეხმარება. ჩინეთმა სათავისოდ უნდა ივაჭროს და რაიმეს მიაღწიოს. რუსეთი და რუსეთის ინტერესები მას არ აინტერესებს.

– თუ ჩინეთი აშშ-ს დააშანტაჟებს, ჩვენ (უკრაინამ) რა უნდა გავაკეთოთ?

– ჩვენ ეფექტური კონტრშეტევა უნდა განვახორციელოთ, აგრესორს ისეთი გამანადგურებელი დარტყმები უნდა მივაყენოთ, რომ ეს რუსმა პროპაგანდისტებმაც ვერ მიაჩუმათონ და ვერ დაამახინჯონ. ამის შემდეგ რუსეთ-ჩინეთის შეთანხმებებს არანაირი მნიშვნელობა აღარ ექნება.

„დატოვოს დავით კაჭარავამ რაგბის კავშირის გამგეობის თავმჯდომარის პოსტი“

„დატოვოს დავით კაჭარავამ რაგბის კავშირის გამგეობის თავმჯდომარის პოსტი“ – ამ სახელწოდებით პლატფორმაზე მანიფესტ.გე პეტიცია გამოქვეყნდა.

როგორც რაგბის გულშემატკივრები წერენ, თანამდებობის პირი, რომელიც ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს ინსტიტუციას, რაგბის კავშირის გამგეობას ხელმძღვანელობს, არ უნდა იყოს შემჩნეული ანტისახელმწიფოებრივ და მოღალატეობრივ პოზიციაში.

– „რაგბი მხოლოდ მორაგბეების კი არა, გულშემატკივრების, მთელი ქვეყნისაა და ვეცდებით, ყველა ჩვენს გადაწყვეტილებაში გატარებული იყოს მათი ინტერესები, – ეს დავით კაჭარავას სიტყვებია, რომელიც მან 2021 წლის შემოდგომაზე რაგბის კავშირის გამგეობის თავმჯდომარედ არჩევისას წარმოთქვა. ამ დროს იგი უკვე იყო საქართველოს მეათე მოწვევის პარლამენტის წევრი.

მოგეხსენებათ, რომ 2023 წლის 7 მარტს, საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო კანონპროექტი „უცხოური გავლენის აგენტის“ შესახებ. მისი ინიციატორი არის „ხალხის ძალა“, რომლის ერთ-ერთი წევრი და კანონპროექტის ერთ-ერთი ავტორი არის მორაგბე, ცენტურიონი, დავით კაჭარავა. მან ხმა მისცა კანონპროექტს პირველ მოსმენაზე, ხოლო მეორე მოსმენაზე, რომელიც მასობრივი გამოსვლების, საზოგადოების დარბევისა და მოსახლეობასთან ფიზიკური ანგარიშსწორების შემდეგ სასწრაფოდ ჩაინიშნა, მას ხმა არ მიუცია კანონპროექტის საწინააღმდეგოდ.

ზემოთ ხსენებული კანონპროექტი მიზნად ისახავდა თავისუფალი აზრის ჩახშობას, ადამიანთა დასმენის, დამოუკიდებელი მედიისა და არასამთავრობო სექტორის შეზღუდვის დაკანონებას. ეს სრულიად ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლს, რომელიც ქვეყნის ევროატლანტიკურ ინტეგრაციას იცავს.

კონსტიტუციურმა ორგანოებმა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში მიიღონ ყველა ზომა ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად.

ჩვენ, ქართული რაგბის გულშემატკივრებს, მიგვაჩნია, რომ თანამდებობის პირი, რომელიც ქვეყნისთვის ჩვენთვის უმნიშვნელოვანეს ინსტიტუციას, რაგბის კავშირის გამგეობას ხელმძღვანელობს, არ უნდა იყოს შემჩნეული ანტისახელმწიფოებრივ და, მეტიც, მოღალატეობრივ პოზიციაში.

არ შეიძლება, დავით კაჭარავა, როგორც რაგბის კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, განსაზღვრავდეს ქართული რაგბის მომავალს და იღებდეს მისი განვითარებისთვის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს. არ დაგვიწყებია ის გულისწყვეტა, სირცხვილის, უხერხულობისა და იმედგაცრუების შეგრძნება, როცა რაგბიდან მისი წასვლით გულნატკენებმა სპორტსმენი მეორე დღესვე „ქართული ოცნების“ პარტიულ სიაში ვნახეთ. რაგბი არის საქართველოს, მისი მოქალაქეების საკუთრება, ჩვენი საამაყო სპორტი. ის იმ ადამიანებს ეკუთვნის, რომლის უმეტესობაც უარს ამბობს რუსულ კანონზე და გეზი აქვს აღებული ევროპისკენ, ამიტომ ამ ეროვნული სპორტის ბედის განმსაზღვრელი ვერ იქნება ადამიანი, რომელიც, როგორც პარლამენტარი, საპირისპიროს აკეთებს. საქართველოს რაგბის კავშირის გაცხადებული მიზანია ევროპულ და მსოფლიო ტურნირებში მონაწილეობის მიღება და გამარჯვება, რაც თავის თავში სრულიად გამორიცხავს ანტიევროპული ნაბიჯების გადადგმას. გულშემატკივრების სახელები და გვარები მორაგბეებს სათამაშო ფორმაზე აწერიათ და ეს არის ყველაზე დიდი კავშირი, რომელიც მოთამაშესა და გულშემატკივარს შორის შეიძლება არსებობდეს. ჩვენ, ჩვენი ეროვნული თუ ასაკობრივი ნაკრებებით და თითოეული მორაგბით ამაყები, ყველგან და ყოველთვის მორაგბეების გვერდით ვართ და პირნათლად ვასრულებთ მე-16 მოთამაშის როლს, რის გარეშეც მიუღწეველია ნებისმიერი მცირე გამარჯვებაც კი. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს რაგბის კავშირი სახელმწიფო ინსტიტუციაა და გადასახადის გადამხდელთა ფინანსური მხარდაჭერით არსებობს, ჩვენ ვთვლით, რომ დავით კაჭარავამ არ შეასრულა თავისი სიტყვა, რის გამოც მოვითხოვთ, მან გამგეობის თავმჯდომარის თანამდებობა დაუყოვნებლივ დატოვოს, – ნათქვამია განცხადებაში. ცნობისთვის, დავით კაჭარავა საპარლამენტო უმრავლესობის წევრია.

ის ჯერ „ქართული ოცნების“ რიგებში ირიცხებოდა, შემდეგ კი „ოცნებიდან“ ფორმალურად წასული „ხალხის ძალის“ წევრი გახდა.

პარლამენტთან ევროკავშირის დროშის დაწვის ფაქტზე რამდენიმე პირი დააჯარიმეს

პარლამენტთან ევროკავშირის დროშის დაწვის ფაქტზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ რამდენიმე პირი დააჯარიმა.

„ინტერპრენსიუსის“ ინფორმაციით, ამ ეტაპზე ჯარიმა 5 პირს დაეკისრა.

ინფორმაციისთვის, შსს-მ რუსთაველის გამზირზე მიმდინარე აქციაზე ევროკავშირის დროშის ჩამოხსნისა და დაწვის ფაქტზე ადმინისტრაციული წარმოება 14 მარტს დაიწყო.

ევროკავშირის დროშის შებღალვა დასჯადია და ითვალისწინებს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 1.000 ლარის ოდენობით.

შეგახსენებთ, რომ 14 მარტს პარლამენტთან „ალტ-ინფოს“ წარმომადგენლებმა აქცია გამართეს, რა დროსაც ევროკავშირის დროშა ჩამოხსნეს და დაწვეს. მოგვიანებით, საქართველოს საკანონმდებლო ორგანოსთან ევროკავშირის დროშა კვლავ აღიმართა.

„ამ შემოდგომაზე ვადამდელი არჩევნები უნდა ჩატარდეს!“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ბა ჩანს, რომ ეს მოხდება. ეს აუცილებლად უნდა მოხდეს. ოპოზიციამ, უბრალოდ, უნდა მოახერხოს კოორდინაცია, ნათლად ერთი მიზნის გამოკვეთა და ამ მიზნის მისაღწევად კოორდინირებულად მოძრაობა. არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს გაერთიანება ერთი სიის ირგვლივ.

– ბატონო გიორგი, დასავლეთი ამბობს, რომ ქართველი ხალხი ნამდვილად იმსახურებს კანდიდატის სტატუსს, მაგრამ ხელისუფლება ამ ყველაფრისგან შორს არის, ანუ ამ ხელისუფლების პირობებში შესაძლოა, ეს შანსი დავკარგოთ?

– შანსი აღარ დაიკარგება. უბრალოდ, ამ ხელისუფლების პირობებში არ მოხდება, თორემ შანსი არ დაიკარგება, თუ ჩვენ არ ავიღეთ

„ამ ხელისუფლების პირობებში სტატუსს არ მოგვანიჭებენ, დასავლეთმა ძალიან ნათელი ვერდიქტი დადო“

და ბოლომდე არ გადავწყვიტეთ, რომ ახლა „ქართულ ოცნებას“ უნდა ჩავყვეთ რუსულ სამარეში. თუმცა ამ ხელისუფლების პირობებში სტატუსს არ მოგვანიჭებენ. ეს მარტივია. დასავლეთმა ძალიან ნათელი ვერდიქტი დადო. ასე შავით თეთრზე დიდი ხანია, მათ არ უსაუბრიათ, ყოველ შემთხვევაში, მე არ მახსოვს. რაც პოლიტიკურ პროცესებში ვარ, დაწყებული შევარდნაძის დროიდან, არ მახსოვს ასე საუბარი, მაშინაც კი, როცა უკვე გადაწყვეტილი იყო, რომ ესა თუ ის ხელისუფალი იცვლებოდა. ასე მკაფიოდ ჯერ არ უსაუბრიათ. შესაბამისად, ვერდიქტი დადებულია დასავლეთის მხრიდან. ახლა საჭიროა, ეს ვერდიქტი მშვიდობიანად, ცივილიზებულად, დემოკრატიულად და მშვიდად მივიყვანოთ აღსრულებამდე. ეს ვერდიქტი გამოიტანეს როგორც ჩვენი საზოგადოების დიდმა ნაწილმა, ისე ჩვენმა პარტნიორებმა.

– ბატონო გიორგი, რამდენად შეეცდება ამ სიტუაციაში ბიძინა ივანიშვილი განტევების ვაცის მოძებნას? ვისმენთ შეფასებებს, რომ შესაძლოა ირაკლი ღარიბაშვილი გაუშვას ან კობახიძე. ეს რამდენად უშველის და თუ არის ამაზე წამსვლელი ახლა?

– მეტი არაფერი არ უკეთებია მთელი ეს წლები. ამიტომ, რატომაც არა? მაგრამ ამით რა? დგება ხოლმე მომენტი, როდესაც ისე ქრება ნახევარტომები და ისე შავ-თეთრად ჩანს სურათი, რომ იქ უკვე მანევრის შესაძლებლობა არ არის.

– ეს სიტუაციაა ახლა?

– სწორედ. მე მახსენდება შევარდნაძის მისვლა მიტინგზე 2003 წელს, საზოგადოებამ რომ არ მიიღო. მე მახსენდება ციხის კადრების მერე ნაციონალური მოძრაობის მდგომარეობა, როდესაც რაიმეს მტკიცებას აზრი აღარ ჰქონდა. არის ხოლმე ასეთი მომენტები, რომლებიც ისე ხდება, მისტიკურად, უცებ გადატყდება. შთაბეჭდილება მრჩება, რომ ასეთი მომენტი უკვე დადგა ქართულ პოლიტიკურ რეალობაში „ქართული ოცნებისთვის“! შიგნით პოლიტიკური მანევრის უნარიც არა აქვთ. რეალურად ისინი ხომ პოლიტიკოსები არ არიან. შეიძლება, ივანიშვილმა რაღაც ფანდი ჩააგაროს, მაგრამ, მე მგონია, რომ ეს არ გაჭრის.

2022 წლის 10 თვეში ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტებზე გამოძიება დაიწყო

2022 წლის 1 მარტიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე გამოძიება 12 სისხლის სამართლის საქმეზე დაიწყო.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ სპეციალური საგამოძიებო სამსახურიდან აცნობეს.

უწყების ინფორმაციით, აღნიშნული 12 სისხლის სამართლის საქმიდან გენერალურმა პროკურატურამ სისხლისსამართლებრივი დევნა 7 პირის მიმართ დაიწყო.

– 2022 წლის 1 მარტიდან სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო უფლებამოსილებას წარმოადგენს ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტების გამოძიება. სამსახური მყისიერად რეაგირებს ჟურნალისტების საქმიანობაში ხელის შეშლის ფაქტებზე და გამოძიებას, მათ შორის სოციალურ ქსელებსა თუ მედიაში გავრცელებული ინფორმაციის/სიუჟეტის საფუძველზეც იწყებს. გამოძიების დაწყებისა და მიმდინარეობის თაობაზე პროაქტიულად აწვდის ინფორმაციას საზოგადოებას და თავად დაზარალებულ ჟურნალისტებს/ოპერატორებს.

2022 წლის 1 მარტიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში, ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე გამოძიება დაიწყო 12 სისხლის სამართლის საქმეზე. აღნიშნული 12 სისხლის სამართლის საქმიდან:

ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე, გენერალურმა პროკურატურამ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 7 პირის მიმართ, კერძოდ – 3-ის მიმართ სსკ-ის 154-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 118-ე მუხლის 1-ლი ნაწილით; 2-ის მიმართ სსკ-ის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით; 1-ის მიმართ სსკ-ის 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 154-ე მუხლის 1-ლი ნაწილით; 1-ის მიმართ სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით, – აღნიშნულია სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციაში.

სააკაშვილის ვიდეოჩანაწერების გასაჯაროების გამო პენიტენციარული სამსახური 500 ლარით დააჯარიმეს

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა სპეციალური პენიტენციარული სამსახურის მიერ საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის პერსონალური მონაცემების შემცველი ვიდეოჩანაწერების გასაჯაროების კანონიერების შესწავლა დაასრულა.



როგორც გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, 2022 წლის 9 აგვისტოს ეპიზოდის გასაჯაროებისას სპეციალურმა პენიტენციარულმა სამსახურმა ვერ უზრუნველყო პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპების პროპორციულობის დაცვა, ამასთან, შემოწმებით გამოვლინდა სხვა სამართალდარღვევის ფაქტებიც.

მათივე ცნობით, სპეციალურ პენიტენციარულ სამსახურს ადმინისტრაციული სახდელის სახით შეეფარდა ჯარიმა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

– პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა დაასრულა, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ, პატიმრობაში მყოფი მიხეილ სააკაშვილის პერსონალური მონაცემების შემცველი ვიდეოჩანაწერების 2022 წლის 14 დეკემბერსა და 2023 წლის 15 თებერვალს სოციალური ქსელის „Facebook“-ის ოფიციალურ გვერდზე გასაჯაროების კანონიერების შესწავლა.

სამსახურის მიერ განხორციელებული შემოწმების ფარგლებში მოპოვებული მტკიცებულებათა და მოწოდებული ინფორმაციის გაანალიზების, მათი ურთიერთშეჯერებისა და საერთო ანალიზით დადგინდა, რომ სპეციალური პენიტენციარული სამსახურის მიერ მიხეილ სააკაშვილის კლინიკა „ვივამედში“ ყოფნის ამსახველი ვიდეოჩანაწერები გასაჯაროვდა მაღალი საჯარო ინტერესის დასაცავად, რაც კანონის მე-5 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, წარმოადგენს მონაცემთა დამუშავების საფუძველს, თუმცა სოციალური ქსელის „Facebook“-ის ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნებული ვიდეოჩანაწერებიდან 2022 წლის 9 აგვისტოს ეპიზოდის გასაჯაროებისას სპეციალურმა პენიტენციარულმა სამსახურმა ვერ უზრუნველყო პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპების პროპორციულობის დაცვა, შემოწმებით გამოვლინდა სხვა სამართალდარღვევის ფაქტებიც, რის გამოც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სპეციალური პენიტენციარული სამსახური ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის პირველი პუნქტით – 3 (სამი) ეპიზოდი – კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული, კანონიერი მიზნის გარეშე, მიხეილ სააკაშვილის მიერ საკვების მიღების ამსახველი, 2022 წლის 9 აგვისტოს ეპიზოდის გასაჯაროების, ვიდეოთვალთვალის შესახებ მიხეილ სააკაშვილის კანონმდებლობით დადგენილი წესების დარღვევით ინფორმირებისა და სამედიცინო დაწესებულებაში განთავსების ადგილზე დამონტაჟებული ვიდეოსათვალთვალო სისტემის მეშვეობით განხორციელებული ჩანაწერების ვადის განსაზღვრის გარეშე შენახვის ფაქტებზე.

სპეციალური პენიტენციარული სამსახური, ასევე, ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად ამავე კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის, ვიდეომეთვალყურეობის თაობაზე გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსებისა და სამედიცინო პერსონალის წერილობითი ინფორმირების გარეშე ვიდეოთვალთვალის განხორციელების ფაქტზე.

სპეციალურ პენიტენციარულ სამსახურს ადმინისტრაციული სახდელის სახით შეეფარდა ჯარიმა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

ყვარელში კაცმა ცეცხლსასროლი იარაღიდან ბიძაშვილი დაჭრა

ყვარელში, სოფელ შილდაში, მამაკაცი დაჭრეს. კაცს, სავარაუდოდ, ცეცხლსასროლი იარაღიდან ჭრილობები ქვედა კიდურებზე აქვს მიყენებული. ადგილობრივების თქმით, მამაკაცს ბიძაშვილმა ესროლა.

არსებული ინფორმაციით, პოლიციამ სავარაუდო ბრალდებული ცხელ კვალზე დააკავა და საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება.

ᲘᲣᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲨᲘ ᲣᲪᲮᲝᲔᲚᲘ ᲔᲥᲘᲛᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲠᲗᲕᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲡ ᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲡ



იუსტიციის სამინისტრო მიხეილ სააკაშვილის მკურნალობის პროცესში უცხოელი ექიმების ჩართვასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

– საზოგადოების ინფორმირების მიზნით იუსტიციის სამინისტრო განმარტავს, რომ მკურნალობის პროცესში უცხოელი ექიმების ჩართვის შესაძლებლობა მსჯავრდებულ სააკაშვილს სამინისტრომ 2022 წლის 29 ნოემბერს შესთავაზა. შეთავაზება გულისხმობს, რომ სპეციალური პენიტენციარული სამსახური არ იქნება წინააღმდეგი, უშუალოდ მსჯავრდებულის ან მისი ოჯახის მიერ მოწვეულმა უცხოელმა ექიმმა, რომელიც დააკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ წინაპირობებს, მიიღოს მონაწილეობა მის მკურნალობაში თბილისში, კლინიკა „ვივამედში“, სადაც ამჟამად მსჯავრდებული სააკაშვილი იმყოფება, – ნათქვამია განცხადებაში.

მესტიაში სასტუმრო დაიწვა

მესტიაში სასტუმრო „ფოსტას“ გვიან ღამით ცეცხლი გაუჩნდა. არსებული ინფორმაციით, ხანძარი მესამე სართულზე გაჩნდა, რის შედეგადაც ის მთლიანად დაიწვა. შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

მეხანძრე-მაშველები ცეცხლს რამდენიმე საათის განმავლობაში აქრობდნენ.

„დედამისი გადამეფარა“ – „ტვ პირველის“ ჟურნალისტი თავდასხმის დეტალებს იხსენებს

ამ დრომდე არ დაუკავებიათ „ტვ პირველის“ ჟურნალისტზე თავდამსხმელი რადიკალი, რომელმაც პარლამენტის სასახლიდან ევროკავშირის დროშა ჩამოხია.

როდესაც „ტვ პირველის“ ჟურნალისტმა მისი იდენტიფიცირება შეძლო და კითხვების დასასმელად სახლში მიაკითხა, მოძალადე მამაკაცი მას ფიზიკურად გაუსწორდა და ის მობილური ტელეფონი დაუმტვრია, რომლითაც გადაღებას აწარმოებდა.

ნატო გეგელიამ ჩვენება უკვე მისცა, თუმცა თავდამსხმელი ამ დრომდე თავისუფალია.

მივედით მასთან სახლში, გამოვიდა, ჩვეულებრივად ყველა კითხვაზე პასუხი გამცა. ეს არ ხდებოდა მისი სახლის შიდა ტერიტორიაზე, იმიტომ რომ მან არ ისურვა ეზოში საუბარი,

თქვა, რომ არავინ დაჰკავშირებია საგამოძიებო უწყებებიდან. დაადასტურა ნამდვილად, რომ ჩამოხსნა და დასაწვავად გადასცა დროშა და თქვა, რომ ამას კიდევ გაიმეორებდა. შემდეგ საუბარში ჩაერთო მოხუცი, სავარაუდოდ მისი მამა, რომელმაც ლანძღვით გვითხრა, რომ უნდა წავსულიყავით და ამას მოჰყვა ანდღულაძის მხრიდან სასწაული აგრესია – სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. პირველი რაც გააკეთა, ეცადა, რომ წაერთმია ტელეფონი და ეს მოახერხა კიდეც, დაამტვრია. შემდეგ ფიზიკური ძალადობა მოახდინა. შემდეგ მისი დედა გადამეფარა და სწორედ ამ დროს მოვახერხე მე იქიდან წამოსვლა, – ამბობს ნატო გეგელია.

მამუკა ანდღულაძე „ალტ ინფოს“ რადიკალური მოძრაობის წევრია. ის დროშის ჩამოგდების მონაწილე იყო და შემდეგ თანამოაზრეებს დასაწვავად გადასცა.

საზოგადოება

როგორ უნდა მოხდეს თბილისის ისტორიულ უბნებში ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია

თბილისის მერია ისტორიულ უბნებში ავარიული შენობა– ნაგებობების რეაბილიტაციას გეგმავს, თუმცა, არის საკითხები, რომელიც დეველოპერებისთვის ჯერ დასაზუსტებელია და, ამავე დროს, გარკვეულ კითხვის ნიშნებს აჩენს.

როგორც „არსის“ დამფუძნებელმა, თბილისის ყოფილმა მთავარმა არქიტექტორმა ირაკლი როსტომაშვილმა რადიო „პალიტრისა“ და „პალიტრანიუსის“ გადაცემა „საქმეში“ განაცხადა, თემაზე საუბარი რომ დაიწყო, ეს უკვე კარგია, რათა პროცესი სწორ კალაპოტში მოექცეს. ამასთან, ირაკლი როსტომაშვილმა იმ დეტალებზე გაამახვილა ყურადღება, რომელიც პროექტში გათვალისწინებული უნდა იყოს.

– მე ვიტყვი იმ დეტალებს, რომლისგანაც შედგება ეს პროგრამა და რასაც უნდა მიაქციოს ყურადღება მერიამ. ჩემთვის, ამ შემთხვევაში ბიზნესის წარმომადგენლისთვის, რა არის მნიშვნელოვანი.

პირველ რიგში, მე ვერ მოვისმინე, რა ხდება საინჟინრო კომუნიკაციებზე. მაგ ზონებში არის კატასტროფული მდგომარეობა და მე ვერ წარმომიდგენია, კვარტალში, ქუჩებს შორის მოქცეულ ზონაში, პირობითად, დეველოპერი მოელაპარაკა ერთ მისამართს, ეს როგორ მოგვარდება? ის ჩაერთვება მთელი ზონის მოგვარებაში? მანდ არ შეიძლება, რომ ეზოს მასშტაბით გამოვცვალოთ საინჟინრო კომუნიკაციები, შესრულება არის ურთულესი და სერიოზულ ხარჯებთანაა დაკავშირებული.

ასევე, მე ვერ ვიზიარებ, რომ მოხდეს კოეფიციენტის გაზრდა. ამის შემოღებიდან, დაახლოებით, 25 წელია, მე ვარ კოეფიციენტის გაზრდის წინააღმდეგი.

კოეფიციენტი არის კონკრეტულ ტერიტორიაზე, ერთ ჰექტარზე რამდენი ადამიანი შეიძლება ცხოვრობდეს. ანალოგი რომ მოვიყვანოთ, მაგალითად, ლიფტში 5 კაცი შედის და იქ ვუთხრათ, მოდით, 9 შედით, ეს არ შეიძლება. კოვიდმაც დაგვანახა, სად ვრცელდებოდა ყველაზე მეტად, შანხაისა და ისეთ ქალაქებში, სადაც სიმჭიდროვე არის გაზრდილი.

კოეფიციენტი არის ჩემთვის ძალიან მტკივნეული და, ვფიქრობ, რომ ამის ამოღების საშუალება არსებობს. ეს კოეფიციენტი არის, ფაქტობრივად, ანაზღაურების გაზრდა, ანუ ფულის შეთავაზება და მე ვფიქრობ, ფულის სხვა წყარო უნდა მოიძებნოს. კოეფიციენტმა დაგვღუპა. ეს არის ის, რომ არაფრიდან ფული ჩნდება, ვუმატებთ სართულიანობას, სიმჭიდროვეს...

აღებული მიმართულებით ვიაროთ, ოღონდ კოეფიციენტს შევეშვათ. არსებობს უამრავი სარეზერვო ტერიტორია, სადაც შეიძლება ინტენსიური განვითარება წავიდეს და განაშენიანდეს.

ასევე, არ არის აუცილებელი, კომპანიამ მაინცდამაინც სახლი ააშენოს. როდესაც გამწვანებაზე, ეკოლოგიაზე გარკვეული თანხებია გათვალისწინებული, გამოვყოთ რაღაც ტერიტორია და დეველოპერს დავავალოთ, რომ ამ პროექტის შესაბამისად, პირობითად, გააკეთოს 20 ჰექტარი ტყე-პარკი. ეს ხარჯი ამაში გავწეროთ.

გარდა ამისა, მე ვცდილობდი და მაშინდელი საკრებულო ამაში ვერ დავარწმუნე, რომ აუცილებელია, თბილისის ლანდშაფტიდან გამომდინარე, ისტორიულ ზონაში შემოვიღოთ მეხუთე ფასადის განსაზღვრება. ეს არის სახურავები. რეალურად, ნებისმიერი გადმოსახედიდან თბილისს აღვიქვამთ სახურავებით და ძალიან მნიშვნელოვანია. ეს არის გაიდლაინი, რომელიც აუცილებელია, გათვალისწინებული იყოს პროექტირებაში. არ შეიძლება ისტორიულ ზონაში, ვისაც როგორი მასალით მოუნდება, გადახუროს, – განაცხადა ირაკლი როსტომაშვილმა.

საინფორმაციო ომი უკრაინის წინააღმდეგ



ოკუპანტებმა ვერც ბახმუტის აღება და ვერც ქალაქისათვის ალყის შემორტყმა ვერ შეძლეს.

რუსეთის არმია უზარმაზარ დანაკარგებს განიცდის. ამან უკვე 160.000-ს გადააჭარბა. პასუხად რუსეთმა უკრაინის წინააღმდეგ საინფორმაციო ომი გააძლიერა. მიზანი ნათელია: ა) თავად უკრაინაში დემორალიზაციის გამოწვევა; ბ) დასავლეთის, უწინარეს ყოვლისა, აშშ-ის მიერ უკრაინისათვის დახმარების შემცირება, შემდეგ კი – საერთოდ შეწყვეტა.

ოკუპანტები უდიდესი გაქანებით მოქმედებენ. ისინი იყენებენ როგორც რუსულ მედიას, ისე საერთაშორისო საინფორმაციო საშუალებებს. შეკვეთით დაწერილი პრორუსული ორიენტაციის სტატიები თვით ისეთ გაზეთებშიც ჩნდება, როგორებიცაა „ვაშინგტონ პოსტი“, „ნიუ-იორკ ტაიმსი“ და ა.შ. სწორედ ამ კუთხით უნდა განვიხილოთ გაზეთ „ვაშინგტონ პოსტში“ გამოქვეყნებული სტატია, რომელიც მთლიანად უკრაინის მთავრობის მაღალი რანგის ჩინოვნიკის ინტერვიუზეა აგებული. თავად ჩინოვნიკის გვარი არ სახელდება. სამაგიეროდ, ხაზგასმულია მისი სიტყვები:

– უკრაინა შეტევისათვის მზად არ არის!

ანონიმური უკრაინელი ჩინოვნიკი აშკარად ცრუობს. ის აცხადებს, რომ უკრაინული არმიის საუკეთესო კადრები უკვე განადგურებულია. არმიას თურმე არ ჰყოფნის საბრძოლო მასალა, ყუმბარები, ნაღმები და ა.შ. ყველაფერი ეს კი უკრაინული არმიის ხარისხზე მოქმედებს, ამტკიცებდა ანონიმი. ჯარში იკლო დისციპლინამ, საბრძოლო მომზადებამ. ახალწვეულთა უმრავლესობას მოწინავე ხაზზე თურმე ყოველგვარი მომზადების გარეშე აგზავნიან. შედეგად უკრაინული არმია თურმე პოზიციას პოზიციაზე თმობს.

– ეს ყველაფერი სინამდვილეს არ შეესაბამება, – მიიჩნევს სუკის ექსრეზიდენტი ვაშინგტონში, ამჟამად აშშ-ში მცხოვრები პოლკოვნიკი იური შვეცი.

მართლაც, ღრმა ზურგში უკვე მომზადდა 20-ზე მეტი ახალი უკრაინული ბრიგადა. ისინი მთლიანად ნატოს ტექნიკით არიან დაკომპლექტებული და ნატოს სტანდარტების შესაბამისად არიან მომზადებული.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბახმუტთან შექმნილი მდგომარეობა. გენერალ ზალუჟნის ბრძანებით ქალაქიდან გაყვანილ იქნა უკრაინული არმიის რეგულარული ნაწილები. ბახმუტს მხოლოდ სპეცნაზელთა მცირე ჯგუფი იცავს. მან რუსების დიდი ძალების შებორკვა მოახერხა. ოკუპანტებმა ბახმუტთან დიდი ძალები გადაისროლეს. მიუხედავად ამისა, ქალაქისათვის ალყის შემორტყმა მათ ვერ შეძლეს. ბახმუტი მტკიცედ დგას. ქალაქზე კვლავ უკრაინული დროშა ფრიალებს, მტერს კი სიქა გასძვრა.

რუსული საინფორმაციო ომის გააქტიურებამ უკრაინელი სამხედროების რისხვა განაპირობა. ისინი რუსი მსტოვრების დაუსჯელობის გამო უკმაყოფილებას გამოთქვამენ. ამას უკრაინის შიგნით მოქმედი რუსული მეხუთე კოლონის რეაქცია მოჰყვა. რუსული აგენტურა შეეცადა, უკრაინელი გმირებისათვის პირი აეკეტა. რუსმა მსტოვრებმა უკრაინის პარლამენტში შეიტანეს კანონპროექტი, სადაც ნათქვამია:

1. აეკრძალოთ სამხედროებს ქვეყნის შიდაპოლიტიკაზე საუბარი;

2. აეკრძალოთ სამხედრო პირებს ნებისმიერი რანგის დეპუტატად ყოფნა;

3. უკრაინული არმიის მთავარსარდალი და ნებისმიერი რანგის მეთაურები დაინიშნონ უკრაინის თავდაცვის მინისტრის მიერ.

რუსეთ-უკრაინის ომი გრძელდება

გენერალი ოსტინი უკრაინისადმი დახმარების აღმოჩენის შესახებ

აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა, გენერალმა ოსტინმა განაცხადა, რომ უკრაინისადმი დახმარება გაიზრდება.

აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა აღნიშნა, რომ ეს ყოველივე საშუალებას მისცემს უკრაინას, დამატებით ჩამოაყალიბოს კიდევ 20-მდე სამხედრო ბრიგადა, რაც აუცილებელია კონტრშეტევისათვის.

ჯონ კირბიმ რუსეთს სიფრთხილისაკენ მოუწოდა

შავ ზღვაზე მომხდარმა ინციდენტმა მსოფლიოში უდიდესი რეზონანსი ჰპოვა. თეთრი სახლის წარმომადგენელმა ჯონ კირბიმ რუსეთს მეტი სიფრთხილისაკენ მოუწოდა:

– მსგავსმა ინციდენტებმა შესაძლოა რუსეთ-აშშ-ის ომი გამოიწვიოს! – თქვა კირბიმ.

სირიამ რუსეთის ახალი ტერიტორიები აღიარა

სირიამ რუსეთის ახალი საზღვრები აღიარა. ამის თაობაზე თავად დიქტატორმა ასადმა განაცხადა. როგორც ცნობილია, სირიამ აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის „დამოუკიდებლობაც“ ცნო.

გენერალი ზალუჟნი საფრანგეთის გაერთიანებული შტაბების უფროსს დაუკავშირდა

უკრაინული არმიის სარდალი გენერალი ზალუჟნი საფრანგეთის გაერთიანებული შტაბების უფროსს ბიურკარს დაუკავშირდა. საუბარი შეეხო რუსეთ-უკრაინის ომს.

ზალუჟნიმ ხაზი გაუსვა, რომ უკრაინული არმია ფრონტზე პოზიციებს ინარჩუნებს.

მან აღნიშნა, რომ წარუმატებლობის პასუხად რუსებმა დაბომბვები გააძლიერეს.

– აუცილებელია უკრაინის ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის კიდევ უფრო გაძლიერება! – განაცხადა ზალუჟნიმ.

დანაკარგები ოკუპანტების რიგებში

უკრაინის გენშტაბის ცნობით, ოკუპანტების რიგებში შემდეგი დანაკარგებია: ტანკები – 3.504; არტილერია – 2.539; თვითმფრინავები – 305; განადგურებულია 162.560 ოკუპანტი. მხოლოდ გასულ დღეს უკრაინელებმა 1.000 ოკუპანტი მოსპეს. რუსების რიგებში დანაკარგები იზრდება.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ბახმუტთან კვლავ ყველაზე მძიმე ვითარებაა

რუსეთ-უკრაინის ომი გრძელდება. ყველაზე მძიმე ვითარება კვლავაც ბახმუტთანაა.

მიუხედავად ამისა, ოკუპანტებმა წინსვლა მაინც ვერ შეძლეს. უკრაინელები კვლავ აკონტროლებენ ბახმუტისაკენ მიმავალს გზებს, მათ შორის ჩასოვ იარის სტრატეგიული დანიშნულების ტრასას. რუსების რიგებში უდიდესი დანაკარგებია.

გააფთრებული ბრძოლებია სოლედართანაც. რუსებმა პატარა სოფელ ზალიზნიჩნაიას დაკავება შეძლეს, მაგრამ სოლედარის გარეუბნებს კვლავაც უკრაინელები აკონტროლებენ და სოლედარის ცენტრს ცეცხლს უშენენ. რუსების მდგომარეობა სავალალოა.

– ჩვენები, ფაქტობრივად, ცოცხალ სამიზნეებად გადაიქცნენ, – აცხადებს დონბასელ სეპარატისტთა ექსლიდერი გირკინი.

დაძაბული ვითარებაა ავდეევკასთანაც. ჩაიშალა ოკუპანტების მცდელობა, მოექციათ ავდეევკა ალყაში. ახლა რუსები ავდეევკისათვის გვერდის აქცევას ცდილობენ. უკრაინელები ინარჩუნებენ პოზიციებს მარინკაში, შახტარსკთან. რაც შეეხება უგლედარს, ამ ქალაქზე ოკუპანტების შეტევები შეჩერებულია.

უკრაინის სამხრეთში მიმდინარე ბრძოლები კვლავაც პოზიციურ ხასიათს ატარებს. რუსებმა შეტევაზე გადასვლა ვერ შეძლეს და მთლიანად თავდაცვაზე გადავიდნენ.

სპორტი

ნაპოლიმ და რეალმა ნულები მეოთხედფინალისტების ფენა ავსეს

ნაპოლი-აინტრახტი 3:0

ორი მატჩის ჯამში: 5:0

ნეაპოლი. სტადიო მარადონა

1:0, 2:0 ოსიმენი (45, 53), 3:0 ჟელინსკი (64პ)

ნაპოლიმ ისტორია დაწერა – გუნდი აქამდე ჩემპიონთა ლიგის (თასის) მეოთხედფინალში არ გასულა. ნეაპოლიტანურმა გუნდმა ეს მარტივად მოახერხა – გერმანულ აინტრახტს ორი მატჩის ჯამში 5:0 მოუგო.

ძალიან გვინდოდა, ჩემპიონთა ლიგის ფლეი ოფში პირველი ქართული გოლიც გვეხილა, თუმცა ფრანკფურტელთა მეკარე კევინ ტრაპმა ხვიჩა კვარაცხელიას გოლის გატანა არ დაანება, ჯერ იყო და პირველ მატჩში პენალტი აუღო, განმეორებით შეხვედრაში კი სამჯერ აუღო.

რაც შეეხება გოლებს: დუბლი შეასრულა ვიქტორ ოსიმენმა. ნიგერიელმა პირველი ტაიმის მიწურულს თავით გაიტანა, ხოლო შესვენების შემდეგ – ფეხით. საკუთარ აქტივში გოლი ჩაიწერა პიოტრ ჟელინსკიმაც, რომელმაც მისივე წაქცევისთვის დანიშნული პენალტი შეაგდო.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ვიქტორ ოსიმენი

ნიგერიელი ფორვარდი გოლზე რომ არის დაგეშილი, ეს ახალი ამბავი არ არის. ასე იყო აინტრახტთან მატჩშიც და ოსიმენის ორი მცდელობა წარმატებული გამოდგა.

რეალი-ლივერპული 1:0

ორი მატჩის ჯამში: 6:2

მადრიდი. სანტიაგო ბერნაბეუ

1:0 ბენზემა (79)

რეალს პირველი მატჩის შემდეგ იმხელა უპირატესობა ჰქონდა, რომ მისი განიავების შანსი თითქმის არ არსებობდა. თუმცა, მადრიდელებს მოგების გარდა სხვა შედეგზე არც უფიქრიათ და ქარიმ ბენზემას გვიანი გოლით მოიგეს კიდეც.

ლივერპული? აი, მერსისაიდული კლუბი ისეთი აღარ არის, როგორიც ბოლო წლებში გვახსოვს. ლივერპულს პრობლემები მოუმრავლდა და ეს ლიგის მატჩებში უფრო თვალსაჩინოდ ჩანს.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ნაჩო

რეალის დაცვა კარგად ირჯებოდა, მაგრამ ჩვენ ნაჩო გამოვარჩიეთ, რომელსაც თამაში მომო სალაჰისა და ტრენტ ალექსანდრ-არნოლდის წინააღმდეგ უწევდა. ნაჩომ ამ მოვალეობას თავი კარგად გაართვა და არც შეტევებში ჩართვას ერიდებოდა, რითიც ოპონენტებს იქით უქმნიდა პრობლემებს.

ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში ითამაშებენ: ნაპოლი, მილანი, ინტერი, ჩელსი, სიტი, ბაიერნი, ბენფიკა და რეალი. მეოთხედფინალური ეტაპის წილისყრა 17 მარტს გაიმართება.

შედეგები

15 მარტი

ფეხბურთი

უეფას ჩემპიონთა ლიგა

ნაპოლი-აინტრახტი 3:0

რეალი-ლივერპული 1:0

ინგლისი. ჰიემიერლიგა

ბრაიტონი-კრ.პალასი 1:0

საუთჰემპტონი-ბრენტფორდი 0:2

სატესტინიო ცხრილი:

1.არსენალი	27	21	3	3	62-25	66
2.სიტი	27	19	4	4	67-25	61
3.მანჩესტერი	26	15	5	6	41-35	50
4.ტოტენჰემი	27	15	3	9	49-37	48
5.ნიუკასლი	25	11	11	3	37-18	44
6.ლივერპული	26	12	6	8	47-29	42
7.ბრაიტონი	25	12	6	7	46-31	42
8.ბრენტფორდი	26	10	11	5	42-33	41
9.ფულემი	27	11	6	10	38-37	39
10.ჩელსი	26	10	7	9	27-26	37
11.ასტონ ვილა	26	10	5	11	32-39	35
12.კრ.პალასი	27	6	9	12	21-34	27
13.ვულვზი	27	7	6	14	20-37	27
14.ნოტინგემი	26	6	8	12	21-47	26
15.ევერტონი	27	6	7	14	20-38	25
16.ლესტერი	26	7	3	16	37-46	24
17.ვესტ ჰემი	26	6	6	14	24-34	24
18.ბორნმუთი	26	6	6	14	25-51	24
19.ლიდსი	26	5	8	13	31-42	23
20.საუთჰემპტონი	27	6	4	17	20-43	22

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

საზოგადოება

იაკობ გოგებაშვილის ფონდი დაფუძნებულია

იაკობ გოგებაშვილის ფონდი „აი ია“ დაფუძნებულია და მისი მიზანი ყველაზე მძიმე მდგომარეობაში მყოფი სკოლების დახმარებაა.

ინფორმაცია ფსიქოლოგმა ნათია ფანჯიკიძემ გაავრცელა, რომელიც ფონდის საბჭოს წევრია:

– თუ შეიძლებოდა, ძალიან ბედნიერი მომხდარიყო რამე ამ გაზაფხულზე, ამაზე მეტი სიზმარშიც კი ვერ მოხდებოდა – იაკობ გოგებაშვილის ფონდის დაარსება, ბორდის წევრობა იმ ადამიანებთან ერთად, ვისიც მჯერა, ვინც ვიცი, ყველაზე დიდი და ბუნებრივი სიყვარულითაა სავსე ჩვენი ქვეყნისა და ადამიანების მიმართ.

იაკობ გოგებაშვილი ჩემთვის წმინდანია, განმანათლებელთა შორის ალბათ ყველაზე ძვირფასი.

ფონდი, რომლის დაარსებაც პირველად ვიზეიმეთ, ძალიან მალე ძალიან ბევრ რამეს გააკეთებს საქართველოში მცხოვრები ყველა ბავშვის სრულყოფილი განათლებისთვის. მოკლედ, დავიბადეთ და დაბადება არაფერია, რაც მთავარია, უსწრაფესად ავმოქმედდებით. ვფიქრობ, რამდენიმე წელიწადში უამრავს შევძლებთ და დაეტყობათ კიდეც საქართველოს ყველა კუთხეში მცხოვრებ ბავშვებს ჩვენი მუშაობის შედეგი.

დავიწყებთ ყველაზე მძიმე მდგომარეობაში მყოფი სკოლების დახმარებით და წამოვყვებით აღმა. საქართველოში ყველა ბავშვს თანაბარი ხელმისაწვდომობა უნდა ჰქონდეს წიგნზე, ინტერნეტზე, ცოდნის მიღების ყველა რესურსზე. რევაზ აფხაზავას აქვს მონაცემები შეგროვებული, რომელი კუთხის რომელი სკოლაა ყველაზე გასაჭირში, ამ გეგმის მიხედვით დავიწყებთ და საბოლოოდ მივწვდებით ყველას.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

განცხადებები

● ალკოჰოლიზმის და ნარკომანიისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, აგრესია, შიშები, ნევროზი, დეპრესია, აკვიატებული აზრები, ძილის პროცესების დარღვევა, მოუსვენრობა, შფოთვა. ორგანიზმის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა. ანონიმურობა დაცულია. ტელ: 595 129 129. მის: აღმაშენებლის 154.

● ძვალ-სახსართა სისტემის პრობლემების მოგვარება: ოსტეოპოროზი, ოსტეოქონდროზი, ართრიტი, ართროზი, კოქსართრიტი, ხრტილოვანი და ძვლოვანი სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის მოხსნა (საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე) სისხლის მიმოქცევის და ენდოკრინოლოგიური პრობლემების მოგვარება, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება. ტელ: 599 96 44 94. მის: აღმაშენებლის 154.

● მამაკაცებისთვის: პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა და მისგან გამოწვეული პრობლემები (გახშირებული და უნებლიე შარდვა, სუსტი და გაორებული ნაკადი, შეკავება-შეუკავებლობა) ბაქტერიული და სოკოვანი ინფექციები (წვა, ქავილი, ტკივილი). პრობლემების მოგვარება გვერდითი მოვლენების გარეშე, გარანტიით. ტელ: 599 25 44 14; 593 44 58 65. მის: აღმაშენებლის 154.

● სიმაღლეში ზრდის ყველაზე სწრაფი, მარტივი და ეფექტური კურსი. შედეგად 3-5 სმ მომატება, ზრდის ზონების გააქტიურება ძვლის მკვებავი მინერალების და ვიტამინების ნაკრებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტირებული შედეგით. ტელ: 599 96 44 94. მის: აღმაშენებლის 154. მწვანე ოფისი.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

ვილი სანიოლმა ევროშესარჩევისთვის გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა

28 მარტს საქართველოს ნაკრები 2024 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის პირველ მატჩს ნორვეგიასთან გამართავს. სკანდინავიელებთან შეხვედრამდე ჩვენი გუნდი „მოსათელად“ მონღოლებთანაც (25 მარტი) ითამაშებს.

ეროვნული გუნდის ფრანგმა სპეციალისტმა ვილი სანიოლმა ის შემადგენლობა დაასახელა, რომელსაც ევროშესარჩევის სადებიუტო მატჩში დაეყრდნობა.

მონღოლეთთან და ნორვეგიასთან შეხვედრებისთვის ჩვენი გუნდი 25 ფეხბურთელით მოემზადება. საწვრთნელი შეკრება თბილისში 20 მარტს დაიწყება და შემდეგ მატჩების მასპინძელ ქალაქში გაგრძელდება.

შემადგენლობაში ერთი დებიუტანტია – 20 წლის ნახევარმცველი ლუკა გაგნიძე.

საქართველოს ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა ასეთია:

მეკარე: გიორგი ლორია (ანორთოსისი, კვიპროსი), გიორგი მამარდაშვილი (ვალენსია, ესპანეთი), ლუკა გუგეშაშვილი (ყარაბაღი, აზერბაიჯანი);

დაცვა: გურამ კაშია (სლოვანი, სლოვაკეთი), ოთარ კაკაბაძე (კრაკოვია, პოლონეთი), დავით ხოჭოლავა (კოპენჰაგენი, დანია), სოლომონ კვირკველია (ნეფთჩი, აზერბაიჯანი), ირაკლი აზაროვი (ცრვენა ზვეზდა, სერბეთი), გიორგი გოჩოლეიშვილი (შახტარი, უკრაინა), ჯიმი ტაბიძე (დინამო თბ), საბა საზონოვი (დინამო, რუსეთი), ლაშა დვალი (აპოელი, კვიპროსი), გიორგი წიტაიშვილი (ლეხი, პოლონეთი);

ნახევარდაცვა: ნიკა კვეკვესკირი (ლეხი, პოლონეთი), ანზორ მექვაბიშვილი (დინამო თბ), ლუკა გაგნიძე (დინამო, რუსეთი), გიორგი აბურჯანია (ჟილ ვისენტე, პორტუგალია), გიორგი ჩაკვეტაძე (სლოვანი, სლოვაკეთი), საბა ლობჟანიძე (კარაგუმრუქი, თურქეთი), ზურიკო დავითაშვილი (ჭორდო, საფრანგეთი), ხვიჩა კვარაცხელია (ნაპოლი, იტალია);

თავდასხმა: გიორგი მიქაუტაძე (მეცი, საფრანგეთი), დავით ვოლკოვი (საბაჰი აზერბაიჯანი), გიორგი ბერიძე (ანკარაგიუჯიუ, თურქეთი), ბუდუ ზივზივაძე (კარლსრუე, გერმანია).

მამუკელაშვილი სასტარტოში გამოჩნდა

საქართველოს ნაკრების კალათბურთელ სანდრო მამუკელაშვილს სან ანტონიო სფურსში სათამაშო დრო მნიშვნელოვნად გაეზარდა თუმცა ნიგერიელი ფორვარდის, ჩარლს ბასის ტრავმის შემდეგ სასტარტო ხუთეულშიც კი გამოჩნდა.



სან ანტონიომ დალას მავერიკსთან ოვერტაიმში 128:137 წააგო, სანდრომ კი მოედანზე 33:15 წუთი დაჰყო.

მამუკელაშვილის სრული სტატისტიკა ასე გამოიყურება: 10 ქულა, 7 მოხსნა, 2 პასი. სანდრომ ექვსიდან ორი ორქულიანი ჩააგდო, ასევე ორჯერ მოათავსა ბურთი კალათში შვიდი ნასროლი სამქულიანიდან.

სან ანტონიო მორიგ მატჩში 18 მარტს დასავლეთ კონფერენციის ერთ-ერთ ლიდერ მემფისს უმასპინძლებს.

საკალათბურთო ჩემპიონთა ლიგაში ჯგუფიდან ფლეი ოფში ნაადრევად გასული გიორგი შერმადინის ტენერიფე თად მაკფადენისა და სანდრო ანდრონიკაშვილის მურსიას ესტუმრა. მურსიელები ჯგუფიდან გამსვლელი მეორე საგზურისთვის იბრძვიან, რომელსაც მათ თურქული დარუშაფაკა ეცილება. ამის გამო მოსალოდნელი იყო, რომ ტენერიფელები თანამემამულე გუნდის წინააღმდეგ თავს არ მოიკლავდნენ და ასეც მოხდა. მურსიამ შეხვედრა იოლად – 87:62 მოიგო და ცხრილში დარუშაფაკა ჩამოიტოვა. ბოლო ტურში დარუშაფაკა ტენერიფეს ხვდება ესპანეთში. წაგების შემთხვევაში ჯგუფიდან მურსია გავა, თუმცა, თუ თავადაც მოიგებენ, სხვაზე დამოკიდებული არ იქნებიან.

შერმადინმა პარკეტზე 20 წუთი გაატარა, რა დროშიც 9 ქულას, 4 მოხსნასა და ერთ პასს მოუყარა თავი. გიორგიმ 9-დან 4 ორქულიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო. საქართველოს ნაკრების კალათბურთელს თად მაკფადენს 4 ქულა, 2 მოხსნა და 4 პასი ჰქონდა. რატი ანდრონიკაშვილს მატჩში მონაწილეობა არ მიუღია.

მოამზადა მიხეილ ყორჟოლიანმა

უცნობი ფეხბურთელიდან გმირობამდე

საქართველოს ნაკრებისა და ნაპოლის ქართველ შემტევ ხვიჩა კვარაცხელიაზე სტატია ჩემპიონთა ლიგის ჟურნალში გამოქვეყნდა. მასთან ერთად ბოლო ნომერში ილქაი გუნდოგანი, ალფონსო დევისი, კილიან მბაპე და სემი ჰიიპია მოხვდნენ.

სტატია ქართველმა ჟურნალისტმა ვახტანგ ბზიკაძემ და ბრიტანელმა შერიდან ბერდმა მოამზადეს.

აი, რა წერია ჩემპიონთა ლიგის ჟურნალში:

უცნობი ფეხბურთელიდან გმირობამდე – ასეთი გზა გაიარა ხვიჩა კვარაცხელიამ, რომელმაც თავისი ტალანტით უკვე ყველა მონუსხა. შემთხვევითი არაა, რომ ხვიჩას იტალიური კლუბის ყველაზე დიდ ფეხბურთელს, დიეგო მარადონას ადარებენ.

გასულ ზაფხულს ბათუმიდან ნეაპოლში მისული ფეხბურთელი მოკლე ხანში იქცა სახიფათო იარაღად, რომელმაც მისთვის პირველ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე 2 გოლი და 4 საგოლე პასი მიითვალა და საყოველთაო ყურადღება მიიქცია. თუკი გასულ სეზონში ნეაპოლის ყურეში KK-ს ახსენებდით, ყველა ჩათვლიდა, რომ საუბარი კალიდუ კულიბალიზე იყო, მარცხენა ფლანგზე კი ადგილობრივთა ფავორიტისა და გუნდის კაპიტნის, ლორენცო ინსინიეს გარდა ვერავინ წარმოედგინათ.

ძნელი გასახსენებელია, ჰქონდა თუ არა სერია ა-ში ვინმეს ასეთი საოცარი სტარტი. ანდრეი შევჩენკო მეტოქე მცველებს პირველივე სეზონში კი ატერორებდა, მაგრამ უკრაინელს კიევის დინამოდან უკვე ყველა იცნობდა. იტალიურ ფეხბურთს თავიდანვე კარგად შეეგუა კაკაც, მაგრამ ბრაზილიელს ახალგაზრდული მსოფლიოს ჩემპიონატი ჰქონდა მოგებული და მისი ტალანტის შესახებ ყველამ იცოდა.

აი, კვარაცხელიას შემთხვევაში კი ნამდვილად სხვა ვითარება გვქონდა. რას იზამდა ის სადებიუტო სეზონში, რთული საპროგნოზო იყო, თანაც მას ხომ ურთულესი ამოცანა ჰქონდა – შეეცვალა ინსინიე. და რა სურათი გვაქვს ნახევარი წლის შემდეგ? ახალი KK უკვე სტადიო დიეგო არმანდო მარადონას ახალი კერპია და მის თაყვანისმცემელთა არეალი მხოლოდ ნეაპოლელი გულშემატკივრებით არ შემოიფარგლება.

ფაბრიციო რავანელიმ, რომელსაც 1995-96 წლების სეზონში ჩემპიონთა ლიგა იუვენტუსთან ერთად აქვს მოგებული, კვარაცხელია „გადაშენებადი“ სტილის ფეხბურთელებს შეადარა, რომლებიც არასოდეს მისდევენ სტერეოტიპებს და მზად არიან, მინდორზე ის გააკეთონ, რასაც მეტოქეები ყველაზე ნაკლებად ელიან.

ხვიჩა კვარაცხელია:

– მინდა, ამ სიტყვებისთვის ფაბრიციოს მადლობა გადავუხადო. ასეთი რამ აქამდე არავის უთქვამს. ძალიან სასიამოვნოა, როდესაც ასეთი დონის ფეხბურთელი გაქებს. საერთოდ, ჩემს თავზე საუბარი ძალიან არ მიყვარს, ამდენად, მირჩევნია ეს საქმე მედიასა და იმ ხალხს დავუთმო, რომელთაც ფეხბურთი კარგად ესმით.

საბედნიეროდ, ფეხბურთის დიდი ცოდნა ნამდვილად არ სჭირდება იმას, რომ კვარაცხელიას ნიჭი შევაფასოთ. მარცხენა გარემარბი ერთმანეთს უთავსებს სისწრაფესა და ტექნიკას, მზად არის, მომენტი თავადაც დაასრულოს და პასიც გასცეს, თანაც, ამას ორივე ფეხით ერთნაირი წარმატებითა და უდიდესი სიმსუბუქით აკეთებს. აქედან მომდინარეობს „ქართველი მოცეკვავის“ მეტსახელიც – კვარადონა, რომელიც ნაპოლის ყველა დროის ლეგენდარულ ფეხბურთელ დიეგო არმანდო მარადონას უკავშირდება. ამაზე კვარაცხელია ასე რეაგირებს:

– თავიდან ეს დაუჯერებლად მეჩვენებოდა. ჩემი სახელის ასეთი დონის ფეხბურთელთან დაკავშირებას ნამდვილად არ ველოდი. თუმცა, მინდა გითხრათ, რომ ამან ჩემზე მხოლოდ დადებითად იმოქმედა, მეტი მუხტი მომცა. საწყის ეტაპზე არ ვიცოდი, რა რეაქცია უნდა მქონოდა და ახლაც, მხოლოდ მადლობის თქმა თუ შემიძლია. [illegible] ამას ვეჩვევი კიდეც და ნამდვილად [illegible] მარადონას მადარებენ.

შესაძლოა, ბევრისთვის ეს მკრეხელობად მოჩანდეს, მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ კვარაცხელიას ნაპოლიში გაცილებით უკეთესი სტარტი აქვს, ვიდრე – მარადონას. არგენტინელი ათიანი იტალიაში 1984 წელს გამოჩნდა და პირველ სეზონში ძირითადად ადაპტაციას გადიოდა. მხოლოდ შემდეგ იქცა მეგავარსკვლავად, რომელმაც 2 სკუდეტო და უეფას თასი მოიგო და ნეაპოლის ლეგენდა გახდა. კამპანიის დედაქალაქი მართლაც გამორჩეული ადგილია, სადაც გმირების დაფასება კარგად იციან. საინტერესოა, ახალ გარემოზე რა შთაბეჭდილება შეექმნა ახალგაზრდა კაცს თბილისიდან?

– ყველაზე დიდი შთაბეჭდილება იმან მოახდინა, რომ აქ ხალხი ფეხბურთით ცხოვრობს. სადაც არ უნდა წავიდე, ფეხბურთი ყველგანაა. თამაში ხომ უყვართ და მარადონას მიმართ კი საერთოდაც გიჟური დამოკიდებულებაა. დიეგოს ქალაქის ყველა წერტილში შეხვდებით. ადგილობრივ ტაქსისტებს მისი ფოტოები მანქანებზე აქვთ გამოსახული. ის აქ ნამდვილი ღმერთივითაა. აქაურ ხალხს ფეხბურთი ასულდგმულებს.

ჯერ კიდევ გასულ გაზაფხულს კვარაცხელია საქართველოს ჩემპიონატში თამაშობდა. მაშინ ალბათ ცოტა ვინმე თუ წარმოიდგენდა, რომ უმოკლეს დროში ის ჩემპიონთა ლიგაში გაიბრწყინებდა.

– ამას მეც ნაკლებად ველოდი. არა მხოლოდ ჩემპიონთა ლიგაში, არამედ სერია ა-ში თამაშსაც კი. თითქოს სიზმარში მოვხვდი, თუმცა, სიტუაცია მალევე გავაანალიზე და გავიაზრე, რომ ახალ რეალობასთან გასამკლავებლად ყველაფერში უნდა მომემატებინა, პირველ რიგში კი, ფიზიკური მზადყოფნის მხრივ. ვთვლი, რომ ადაპტირება საკმაოდ სწრაფად მოვახერხე.

კვარაცხელიას არასდროს დაუმალავს, რომ მისი საყვარელი ფეხბურთელი მადრიდის რეალის წევრი გუტი გახლდათ.

– მისით ნამდვილად აღფრთოვანებული ვიყავი. მახსოვს, ბავშვობაში თეთრი მაისური მოვძებნე და 14 ნომერი დავაწერე.

კვარას რეალისადმი სენტიმენტები დღემდე აქვს, მაგრამ ახლა მადრიდული გრანდის მაისურის მორგებისგან თავის შეკავება მართებს. ის სხვა რამეებზეა კონცენტრირებული, მით უმეტეს, რომ სუპერტალანტით დაჯილდოებულ ფეხბურთელს, რომელიც ფაქტობრივად არსაიდან გამოჩნდა, უკვე ყველა აკვირდება. ასეთი ვინმე გახსენდებათ?

ვახტანგ ბზიკაძე:

– ხვიჩა კვარაცხელიამ საქართველო საფეხბურთო რუკაზე დააბრუნა. შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ფეხბურთზე მისი გავლენა შეუფასებელია. თუ თბილისის ქუჩებში იმ დროს გაივლით, როდესაც ნაპოლი თამაშობს, აუცილებლად მიხვდებით, რომ რაღაც ხდება. ღია ფანჯრებიდან ზეიმის ხმა ისმის მაშინ, როდესაც ნაპოლის ახალგაზრდა სენსაციას გოლი გააქვს. საქართველო საფეხბურთო ქვეყანაა და დიდებულია იმის ნახვა, რომ მას ისევ ჰყავს მოთამაშე, რომელსაც ყველა ქომაგობს.

ნაპოლის მატჩებისას თბილისური ბარები ივსება, გასული წლის ოქტომბრიდან კი საქართველოს დედაქალაქიდან ნაპოლიში პირდაპირი რეისები სრულდება და ქართველ ქომაგებს საშუალება აქვთ, ჩვენს გმირს „ცოცხლად“ უყურონ. მეტიც, ჩემს 87 წლის დიდ ბებიასაც სურს, კვარაცხელიას შესახებ ყველაფერი იცოდეს. არადა, არ მახსენდება, ოდესმე ფეხბურთზე ელაპარაკოს. ამავდროულად, ქართველები, რომლებიც იტალიაში ცხოვრობენ, აღნიშნავენ, რომ მათ მიმართ დამოკიდებულება გაცილებით დათბა.

სამგლოვიარო განცხადებები

ბექა!



ყოველი გაზაფხული ტკივილიანი და უფერულია უშენოდ. ოცდაორი წელი გავიდა იმ ავბედითი დღიდან, მაგრამ ის ტკივილი დღესაც ისევე გაუსაძლისი და მწარეა, როგორც მაშინ. განა დრო შვებაა დედისთვის? არ ვიცი, როგორ შევძელი უშენობა. არ ვიცი, რა მაძლევს ძალას, ვიცოცხლო შენ გარეშე, ჩემო ერთადერთო!

მხოლოდ მე კი არა, ყველას დააკლდი. ყოველთვის გიხსენებენ სიყვარულითა და სინანულით შენ – ახოვანს, მუდამ ღიმილიანს, უზომოდ კეთილს.

მშვიდად განისვენე, ჩემო დარდო და ტკივილო! ნათელი გეფინოს მარადიულ სასუფეველში, ჩემო კოპწია ბიჭო!

დედა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ქართული ხალხური ცეკვა; 2. მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი ბრიტანელი ბილიარდისტი; 3. ქართველი კინორეჟისორი ქალი; 4. ამერიკული საიუველირო ფირმა; 7. ჩეხური საავტომობილო ფირმა; 9. ქართული ზღაპრების პერსონაჟი, ბოროტი არსება; 12. სამეთვალყურეო გემი ნავსადგურში; 14. საჭმელი სოკო; 15. საფეხურებად გადმომჩქეფარე ხელოვნური წყალვარდნილი; 17. ქართული ხალხური შრომის სიმღერა; 20. ბალნეოლოგიური კურორტი რაჭაში.

თარაზულად: 5. აეროპორტი სრხუმის მახლობლად; 6. ყორნისებრთა ოჯახის მოლაპარაკე ფრინველი; 8. ბალზაკის ცნობილი ნოველა; 10. კომედიური ჟანრის მუსიკალური წარმოდგენაა; 11. სინარნარე, მოხდენილობა მოძრაობაში, ცეკვაში; 13. მონადირე ძაღლის ჯიში; 16. დამბლა, მოქმედების უნარის დაკარგვა; 18. ბარიტის საბადო რაჭაში; 15. საფრანგეთის ფეხბურთელთა გუნდი; 21. მკბენარა მწერი; 22. გემის მიერ განვლილი მანძილის საზომი ხელსაწყო; 23. მინერალი, ძვირფასი მოსაპირკეთებელი სამშენებლო მასალა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. რუსთავი; 2. სელადონი; 3. იამაჰა; 4. ასაჰი; 5. პატეფონი; 8. ბახთიარი; 12. არგო; 13. მოთხრობა; 14. მდოგვი; 16. დოტაცია; 18. მიდია; 20. ტროა.

თარაზულად: 6. ნუცუბიძე; 7. არაბესკა; 8. ბორანო; 10. ჟოეკვარა; 11. ტალავარი; 15. კოპერფილდი; 17. ბოკაჩო; 19. ვიქტორინა; 21. ჰოლანდი; 22. ბაქშტაინი; 23. მანდელა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. იორდანია; 2. რაბლე; 3. ერისიონი; 4. ნოვაკი; 7. სქური; 9. თრუსო; 12. არმსტრონგი; 14. შირაქი; 15. ისტმენი; 17. ფორნებუ; 20. ძიძია.

თარაზულად: 5. შორაპანი; 6. სარაევო; 8. ქულბაქი; 10. მორიკონე; 11. ფიგარო; 13. ოპიზარი; 16. ფონეტიკა; 18. პორტო; 19. ატენი; 21. პიექსი; 22. ენოლოგია; 23. ათაბაგი.

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

17 მარტი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.5832	ევრო — 2.7397
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.1130	100 რუსული რუბლი — 3.3859

ამინდის პროგნოზი 17 მარტისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპალეტი: „ნაპოლის ჩემპიონთა ლიგის მოგება შეუძლია“

ნაპოლიმ საკუთარ მოედანზე აინტრახტი დაამარცხა 3:0 და ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გავიდა. მატჩის შემდეგ სპალეტიმ თქვა, რომ ნაპოლის დიდი ამბიციები აქვს და ისინი არცერთ გუნდს არ უფრთხიან: „მიხარია, რომ კარგი სეზონი გვაქვს, მაგრამ ჯერ კიდევ სეზონის ბოლო წინ არის და არ უნდა მოვდუნდეთ. ჩემპიონთა ლიგაში დიდი ამბიციები გვაქვს და არავის არ ვუფრთხით“.

ბენზემა: „რეალი ტურნირის ფავორიტია“

მადრიდის რეალმა საკუთარ მოედანზე ლივერპული დაამარცხა და გუნდი ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალშია. შეხვედრაში ერთადერთი გოლი კარიმ ბენზემას ანგარიშზეა, რომელმაც მატჩის შემდეგ თქვა, რომ კიდევ ერთხელ აპირებს თავის გუნდთან ერთად ჩემპიონთა ლიგის მოგებას: „ჩემპიონთა ლიგაში თამაში ძალიან კარგად გამოგვდის და რეალი ყოველთვის ამ ტურნირის ფავორიტია. ჩვენ ამჯერადაც უნდა ვაჩვენოთ, რომ საუკეთესოები ვართ“.

პედრი სათამაშოდ მზად არის

ბარსელონის ახალგაზრდა ნახევარმცველმა პედრიმ ტრავმა მოიშუშა და სათამაშოდ მზად არის. პედრიმ ტრავმა ერთი თვის წინ მიიღო და საკმაოდ ბევრი მნიშვნელოვანი მატჩი გამოტოვა. კვირას, 19 მარტს, ბარსელონა რეალს უმასპინძლებს და შესაძლოა ამ შეხვედრაში პედრი მოედანზე დაბრუნდეს. ხავიმ თქვა, რომ ის იფიქრებს იმაზე, ათამაშოს თუ არა პედრი პირველივე წუთებიდან.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

თანასოფლელი თანასოფლელს ეკითხება:

– ცოლისდა ცოლად რატომ მოიყვანე?

– ახალ სიდედრთან შეგუებას ისევ ძველი ვამჯობინე.

●●●

რესტორნის პატრონი ბარმენს ეუბნება:

– დღეხ დაამზადებ კოქტეილს – 5 გრამ არაყს გააზავებ 100 ლიტრ წყალში...

– რა, ფსიქიატრიული ქეიფობს?

– ჩუმად... ჰომეოპათებს კორპორატიული აქვთ!

●●●

ცოლი ხედავს, რომ ქმარი სასწორზე დგას და მთელი ძალით ცდილობს, მუცელი შესწიოს. ცოლი ეუბნება:

– არა მგონია, მაგან გიშველოს.

– მიშველის, როგორ არ მიშველის, ციფრებს დავინახავ.

●●●

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

– ჩემს ქმართან ერთად ცხოვრება შეუძლებელია!

– შენც ადექი და გაეყარე.

– კი, აბა, იმან ცხოვრება გამიმწარა და მე ახლა გავაბედნიერო?!

●●●

ქალი მამაკაცს მიმართავს:

– შეგიძლიათ, ჩემი ბავშვის თანდასწრებით არ შეიგინოთ?

– საერთოდ, მე იმ სიტყვებს ვიმეორებდი, რომლებიც თქვენმა ბავშვმა ჩემს მანქანაზე ამოკაწრა!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

გიული ჩოხელი: „მოსკოვში, სადაც ჩემი შვილია დაკრძალული, არ ვყოფილვარ“

ლეგენდარული ჯაზმომღერლის გიული ჩოხელისთვის რუსი მას შემდეგ აღარ არსებობს, რაც ქართველები თვითმფრინავში ჩატენეს იქ, სადაც ძროხებს ტენიან და საქართველოში გამოუშვეს:

– მოსკოვში, სადაც ჩემი შვილია დაკრძალული, არ ვყოფილვარ და ვერც ვერასდროს ჩავალ, იმიტომ, რომ ჩემთვის რუსი აღარ არსებობს მას შემდეგ, რაც ქართველები თვითმფრინავში ჩატენეს, სადაც ძროხებს ტენიდნენ და გამოუშვეს, მას შემდეგ, რაც სოხუმიდან მკვდარი შვილებით ხელში დედები მოდიოდნენ. ამას ვერ ვაპატიებ რუსებს. მე მთიული ქალი ვარ, ამიტომ ეს დამთავრდა.

ვერ ჩავედი ჩემი შვილის საფლავზე და ვერც ჩავალ. ჩემი შვილი ჩემთვის ცოცხალია, სიზმარში ყოველთვის ვხედავ მას და ვესაუბრები.

საქართველოში პირველი საილუზიო შოუ გაიმართება

1 აპრილს პირველად საქართველოში პირველი საილუზიო შოუ გაიმართება.

„ილუზიის სამკუთხედი“ – ასე ეწოდება შოუს, სადაც წარმოდგენილი იქნება საილუზიო სფეროს 3 განსხვავებული მიმართულება: მენტალიზმი, ფსიქოილუზია და მანიპულაცია.

შოუს წარუძღვება 3 ილუზიონისტი: ლაშა გელაშვილი – „ნიჭიერი 2020“ წლის გამარჯვებული (მენტალიზმი), სერგი დოლიძე – საერთაშორისო საილუზიო კონკურსის პრიზიორი და ყველაზე ორიგინალური „აქტის“ მფლობელი (მანიპულაცია), გიორგი ჩიქობავა – „ნიჭიერი 2020“ წლის ნახევარფინალისტი (ფსიქოილუზია).

შოუზე „ილუზიის სამკუთხედი“ წარმოდგენილი იქნება სანახაობა, სადაც მაყურებელს ექნება შესაძლებლობა, გახდეს ნომრის უშუალო მონაწილე და საილუზიო სფერო განსხვავებული კუთხიდან დაინახოს.

ლაშა გელაშვილი, ილუზიონისტი:

– 12 წლის წინ დავიწყე ფოკუსების სწავლა მხოლოდ გართობისა და ჰობის მიზნით. მაშინ ვინმეს რომ ეთქვა, რამე მნიშვნელოვან წვლილს შევიტანდი ამ სფეროს განვითარებაში, გულიანად გამეცინებოდა, მაგრამ გულის სიღრმეში ყოველთვის მჯეროდა, რომ უფრო მეტის გაკეთება შემეძლო, თითქოს ვალდებულებაც იყო ეს ყველაფერი ჩემთვის.

ძალიან ბევრი და რთული ეტაპის გავლის შემდეგ და ამ 2 უმაგრესი ადამიანის – გიორგი ჩიქობავასა და სერგი დოლიძის დახმარებით, თამამად შემიძლია გითხრათ, რომ საქართველოში ჩატარდება პირველი საილუზიო შოუ, სადაც 3 განსხვავებული მიმართულება იქნება წარმოდგენილი და ნახავთ ისეთ რამეს, რაც აქამდე არასდროს არსად გინახავთ საკუთარი თვალით! ეს მხოლოდ დასაწყისის დასაწყისია!

ალექსანდრე ზაზარაშვილი: „მინდა, დადგეს დღე, რომ საქართველოდან წასასვლელი არავის არ გვქონდეს“

უკრაინული საბავშვო „ვოისის“ გამარჯვებული მომღერალი ალექსანდრე ზაზარაშვილი ამერიკაშია და სამშობლო ძალიან ენატრება:

– საქართველო, მიყვარხარ! სულით შენთან ვარ! ერთს ვიტყვი იმას, რომ მე არანაირი პოლიტიკური პარტიის მიმდევარი არ ვარ, მე მინდა, ვნახო ჩემი ქვეყანა გაბრწყინებული და ჩემი ქართველი ერი ბედნიერი, რასაც, სამწუხაროდ, ახლა ვერ ვხედავ. მინდა, დადგეს დღე, რომ საქართველოდან წასასვლელი არავის არ გვქონდეს და ჩვენს საკუთარ მიწაზე ვიყოთ ბედნიერები, არ მინდა, ყოველდღე ჩემი ოჯახის მონატრება მკლავდეს! დაე, გაებრწყინოს ჩვენს ქვეყანას სამუდამოდ!

ალექსანდრე ყაზბეგის 175 წლის იუბილე გამოფენით აღინიშნება

ქართველი მწერლის ალექსანდრე ყაზბეგის დაბადებიდან 175 და გარდაცვალებიდან 130 წლის იუბილეები ლიტერატურის მუზეუმში გამოფენით აღინიშნება.

ალექსანდრე ყაზბეგს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი დაბადებიდან 175 და გარდაცვალებიდან 130 წლის აღსანიშნავ საიუბილეო გამოფენას უძღვნის. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იქნება XIX საუკუნის კლასიკოსი მწერლის, დრამატურგის, პოეტის, მთარგმნელისა და მსახიობის ცხოვრებისა და ბიოგრაფიის ამსახველი მასალა: ხელნაწერები, ფოტოები, წიგნები, გრაფიკული და ფერწერული ნამუშევრები, მემორიალური ნივთები, მათ შორის, საწერი მოწყობილობა.

ლიტერატურის მუზეუმში ალექსანდრე ყაზბეგისადმი მიძღვნილი გამოფენა 7 აპრილამდე გასტანს.

ასტროპროგნოზი

17 მარტისათვის

ვერძი – ნერვული დაძაბულობა და ფიზიკური დატვირთვა, შესაძლოა, ავადმყოფობის მიზეზი გახდეს. ახალი ნაცნობობა ხანმოკლე იქნება. **კურო** – გეგმების განხორციელებაში წვრილმანი დაბრკოლებები შეგიშლით ხელს. ნუ იყოყმანებთ, გააკეთეთ ის, რასაც საჭიროდ მიიჩნევთ. **გაუსები** – ერიდეთ ქალაქიდან გასვლას, განსაკუთრებით – მანქანით. უმჯობესია, თუ სახლში დარჩებით და დაისვენებთ მყუდრო გარემოში. **კირჩხიბი** – დღეს უმთავრესია, შეინარჩუნოთ სულიერი წონასწორობა. ყოველგვარ ცდუნებას თავი აარიდეთ. **ლომი** – შექმნილი რთული სიტუაციიდან თქვენთვის სასარგებლო გამოსავალს მიაგნებთ. ყოფით პრობლემებზე ნუ ჩაიციკლებით. **ქალწული** – საქმის გარჩევები, კამათი და სტრესი არ აგცდებათ, თუმცა მაინც ყველაფერი თქვენს მოთმინებაზეა დამოკიდებული. **სასწორი** – კონფლიქტური დღეა, მაგრამ სერიოზულ ჩხუბამდე საქმე არ მივა. მიენდეთ ინტუიციას. **ღრიანცელი** – წინააღმდეგობრივი დღეა. მიუხედავად იმისა, რომ, ერთი შეხედვით, ყველაფერი რიგზე გაქვთ, მაინც შინაგან დაძაბულობას გრძნობთ. გულისხმას ყური უგდეთ. **მშვილდოსანი** – მოულოდნელი ინფორმაციის გამო გეგმები გეცვლებათ. დაშვებული შეცდომების გამოსწორებას მხოლოდ მოთმინებისა და სულიერი სიმშვიდის მეშვეობით მოახერხებთ. **თხის რქა** – სიფრთხილე გამოიჩინეთ ნათესავებთან ურთიერთობისას, დაუკვირდით, რას ამბობთ. წინდაუხედაობამ, შესაძლოა, დაგაზარალოთ. **მერწყული** – დღის დევიზია კომპრომისი, გულისხმიერება, გულმოწყალება. ყოფითი პრობლემების მოგვარებაში მეგობრების იმედი იქონიეთ. **თევზები** – თქვენს ფსიქოემოციურ მდგომარეობას ძალზე წაადგება ქალაქგარეთ გასვლა, სუფთა ჰაერზე სეირნობა, ბაღში მუშაობა. ინტიმურ საკითხებზე ყურადღების მეტისმეტი გამახვილება არ ღირს.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

წლის ბესტსელერი წიგნები ცნობილია

საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციამ და ჟურნალმა „ფორბს ჯორჯიამ“ 2022 წელს გამოცემული ბესტსელერი წიგნები 6 ნომინაციაში გამოავლინა:

ქართველი ავტორის წიგნი (მხატვრული ლიტერატურა) ბესტსელერად დასახელდა – „მეორე შანსი“, ავტორი თინათინ ბერიძე;

ქართულ ენაზე თარგმნილი წიგნი (მხატვრული ლიტერატურა) – „ყველაფერი მთავრდება ჩვენით“, ავტორი კოლინ ჰუვერი, მთარგმნელი ნათია ჩუბინიძე;

ქართველი ავტორის საბავშვო წიგნი – „მოკლე კატოს თავგადასავალი“, ავტორი ზაირა არსენიშვილი;

ქართველი ავტორის საყმაწვილო წიგნი – „ჩუმად უნდა იჯდე“, ავტორი თამარ გეგეშიძე;

ქართულ ენაზე თარგმნილი საბავშვო წიგნი – „დოგმენი, ახალი გმირობები“, ავტორი დეივ პილკი, მთარგმნელი ნინო გოგალაძე;

დოკუმენტური პროზა – „იკიგაი“, ავტორი ფრანსესკ მირალესი, მთარგმნელი ანა ალბუთაშვილი;

ბესტსელერები წიგნის გამომცემლებისა და გამავრცელებლების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე გამოვლინდა. ასოციაცია გამარჯვებულ ავტორებსა და მთარგმნელებს სპეციალურ სერტიფიკატებს გადასცემს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვორდი ↄ

შვეულად: 1. მე-14 საუკუნის ქართველი მხატვარი, მოხატა უბისის მონასტერი; 2. ღვინის მწარმოებელი ქართული ფირმა; 3. ქართველ პოეტ ნიკო რაზიკაშვილის ლიტერატურული ფსევდონიმი; 4. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 5. სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში; 8. ბროწეულის წვენისგან მომზადებული საწებელი; 12. გემით ტვირთის გადაზიდვის საფასური; 16. მაღალხარისხოვანი სპირტიანი სასმელი; 18. ამერიკელი ზანგების სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 20. ირლანდიის ისტორიული სახელწოდება.

თარაზულად: 6. პოპულარული მინერალური წყალი უკრაინის კარპატებში; 7. ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 8. ისრაელის დაზვერვა; 9. ბრაზილიური ცეკვა; 10. საახალწლო ტკბილეული; 11. კარდინალთა საბჭო, რომელიც ირჩევს რომის პაპს; 15. იტალიელი პოლიციელი; 17. ტბა სამხრეთ საქართველოში; 19. სპეციალური ბილიკი სანატორიუმის ტერიტორიაზე სამკურნალო სიარულისთვის; 21. ნორვეგიელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 22. აზრი, მსჯელობა, რომელიც მკვეთრად განსხვავდება საყოველთაოდ აღიარებულისგან; 23. კოქტეილის მოსამზადებელი ჭურჭელი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა